საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაცანა ყველა უკეთესობაზე უსამაგლოესია.

სამშაბათი, 9 იანვარი. 2018 წ. №4 (8405), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

წვრთნა სულისა

ამაღლდით!

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის ეპისტოლე

იხ. 6 გვ.

...ახალს არაფერს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და კაცობრიობის დღევანდელი მდგომარეობა მეტად მძიმეა. პიროვნება უფსკრულის წინაშე აღმოჩნდა და ღვთის მადლის გარეშე დარჩენილს, აღარ ძალუძს, თავი დააღწიოს შექმნილ მდგომარეობას; ინგრევა ოჯახები, უმეთვალყუროდ რჩებიან ბავშვები; გამეფდა სიცრუე, ამპარტავნება, გაუტანლობა, ეგოიზმი, შური და ღვარძლი; ადამიანი ცდილობს, გაექცეს ამ რეალობას, მაგრამ გზააბნეული ხსნას ძირითადად ნარკოტიკის მოხმარებაში ხედავს, რითაც მდგომარეობას კიდევ უფრო ირთულებს.

აუცილებელია, შემუშავდეს ისეთი ნარკოპოლიტიკა, რომელიც ახალგაზრდებს დაიცავს და შექმნის უარყოფით განწყობას ამ უმძიმეს სენთან მიმართებით. ამასთან, უნდა აშენდეს სარეაბილიტაციო ცენტრები, სასკოლო ასაკიდანვე უნდა მოხდეს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება და გატარდეს სხვა ღონისძიებები.

მაშინ, როდესაც ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას, ყველას განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებს, რათა აღნიშნული პრობლემისადმი სწორი კომპლექსური მიდგომა განხორციელდეს და რეალური, შედეგის მომტანი ნაბიჯები გადაიდგას.

ობლის ცხოვრება, ღვთის მადლით, აღმავალია...

იხ. 7 გვ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისგან

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და პედაგოგი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი

მარიამ ლორთქიფანიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვნებები ვარლამის დაჭერის გამო...

4

ტურისტების ზრდის ტემპს ინფრასტრუქტურა ვერ მიჰყვება!

3



სხვის ჯანმრთელობაზე მზრუნველს საკუთარი დაავიწყდა!..

5

ფრიდონ თოდუას დღეს 74 წელი შეუსრულდებოდა

ვიაჩესლავ ჩირიკბა: წონაღი ინიციატივების გარეშე კვირიკაშვილის ქენევაში ჩასვლას აზრი არა აქვს!

8



საქართველოს ფინანსთა მინისტრი აშშ-ის ელჩს შეხვდა

ამერიკის შეერთებულ შტატები ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორია და ძალიან მნიშვნელოვანია, ის წარმატებები, რაც ჩვენ გვაქვს პოლიტიკურ სფეროში, ავსახოთ ორმხრივ ეკონომიკურ განვითარებაზე“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან, იან კელისთან გამართულ შეხვედრაზე.

ფინანსთა მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ დახმარების მნიშვნელობას, რომელსაც ჩვენი პარტნიორი ქვეყანა უწევს საქართველოს, განსაკუთრებით, ისეთი მიმართულებებით როგორიცაა განათლება, კანონოს უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციური გაძლიერება, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა და სხვა.

ფინანსთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე მამუკა ბახტაძემ აშშ-ის ელჩს გააცნო ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობა, 2017 წელს ეკონომიკური ზრდის მიმართულებით მიღწეული შედეგი, 2018 წლის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის მიმდინარეობა, ის რეფორმები და ინიციატივები, რომელიც დაგეგმილია ფინანსთა სამინისტროში, მათ შორისაა, დამატებული ღირებულების გადასახადის ზედმეტობების დაბრუნების ავტომატური სისტემის დანერგვა, ციფრული საბაჟოს განვითარების კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებები.

შეხვედრაზე განიხილეს პროგრამები, რომელიც ფინანსთა სამინისტროში შეერთებული შტატების ხაზინის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და მისი ერთ-ერთი პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ დახმარებით ხორციელდება.

თეა წულუკიანი: გირგვლიანის საქმეზე სააკაშვილის მიმართ გამოტანილი განაჩენი სტრასბურგში მინისტრთა კომიტეტს გადაეგზავნება

გირგვლიანის საქმეზე სააკაშვილის მიმართ გამოტანილი განაჩენი ძალაში შესვლის შემდეგ, სტრასბურგში მინისტრთა კომიტეტს გადაეგზავნება, — ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა. მისივე თქმით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს უკრაინა მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირებაზე, ეს სუვერენული სახელმწიფოს გადასაწყვეტია. **ერთადერთი რაც შემიძლია ნამდვილად გითხრათ — როდესაც ეს განაჩენი შევა ძალაში, ის არ არის ჯერ ძალაში, ჩვენ ამ განაჩენს აუცილებლად გადავგზავნით სტრასბურგში მინისტრთა კომიტეტის წინაშე, რომელიც ახლა აკონტროლებს ენუქიძე-გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების ეროვნულ დონეზე სათანადოდ შესრულებას“,** —განაცხადა თეა წულუკიანმა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სანდრო გირგვლიანის საქმეზე მიხეილ სააკაშვილს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

„დროში გახანგრძლივება რეალობას კიდევ უფრო გაამწვავებს“!

შს მინისტრი ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით დამატებით განცხადებას გააკეთებს

ნარკოდანაშაულის არსებული სტატისტიკა და ფაქტები ცალსახად მიუთითებს, რომ პრობლემის მოგვარების დროში გახანგრძლივება რეალობას კიდევ უფრო **გაამწვავებს** — აცხადებს შს მინისტრის მოადგილე ნინო ჯავახაძე. მისი თქმით, ნარკოპოლიტიკა კომპლექსური თემაა, რომელიც კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს და არსებული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ამ მხრივ ქვეყანაში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. ჯავახაძე აცხადებს, რომ განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ქიმიური ნარკოტიკების გაზრდილი მოხმარება და ე.წ. „ბიოსგან“ გამოწვეული ზიანი, რაც სამინისტროსთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

„მძიმე ნარკოტიკებთან ბრძოლა არის ჩვენთვის პრიორიტეტი. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ნარკოპოლიტიკა კომპლექსური თემაა, რომელიც კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. ნარკოპოლიტიკა არ არის მხოლოდ დაჭერა ან არდაჭერა. ეფექტიანი ნარკოპოლიტიკა უნდა ემყარებოდეს ბალანსს ჰუმანურობასა და მოხმარების წახალისების აღკვეთას შორის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს ბალანსი დაცული იყოს... როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით შეიქმნა ახალი რეალობა, რაც ფაქტობრივად გულისხმობს მარიხუანის ნაწილში დეკრიმინალიზაციას. შესაბამისად, ეს სფერო საჭიროებს შესაბამის საკანონდებლო მოწესრიგებას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. ჩვენ აქტიურ კონსულტაციებს ვაწარმოებთ ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სპეციალისტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ნარკოპოლიტიკის მოწესრიგების საკითხებზე, რომლის საბოლოო მიზანია, ეს პოლიტიკა გახდეს უფრო ეფექტიანი. ამ საკითხზე, მომდევნო დღეებში შინაგან საქმეთა მინისტრი დამატებით განცხადებას გააკეთებს“, — განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

მღებრიშვილმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში საკადრო ცვლილებები დაიწყო

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გიორგი მღებრიშვილმა სისტემური რეფორმა დაიწყო და **უწყების დანაყოფების ხელმძღვანელ პირებთან პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა.** შეხვედრაზე გიორგი მღებრიშვილმა მიმდინარე რეფორმის დეტალებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ცვლილებების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაზრდილი დაფინანსებით წელსვე მოხდება მეხანძრე-მაშველების სოციალური გარანტიების გაუმჯობესება და სისტემის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა.

„საგანგებო სიტუაციებისა და კრიზიების მართვას მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და ამ კუთხით არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით, მაქსიმალური რესურსების მობილიზებას ახდენს. ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ შევქმნათ დასავლური სტანდარტების ისეთი სამსახური, რომლის იმედიც ექნება საქართველოს თითოეულ მოქალაქესა და ქვეყნის სტუმარს“, — განაცხადა მღებრიშვილმა.

საპრეზიდენტო არჩევნებზე ცესკო 39 136 784 ლარს დახარჯავს

ცენტრალური საარჩევნო კომისია 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე 39 136 784 ლარს დახარჯავს. ამის შესახებ ინფორმაცია საკანონმდებლო მაცნეში გუშინ გამოქვეყნდა.

აქედან შრომის ანაზღაურებაზე 16 917 163 ლარი დაიხარჯება. არჩევნებისათვის მოხელეთა მომზადება-გადამზადებისთვის კი 1 002 300 ლარია გამოყოფილი. საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯი 2 242 850 ლარი იქნება.

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები 2018 წლის ოქტომბერში გაიმართება.

თამაზ მეჭიაური დათმობას არ აპირებს!..

თიანეთის მერი თამაზ მეჭიაურის თქმით, ის საკრებულოს წევრებს კიდევ ერთხელ წარუდგენს ბიუჯეტს, **რომელიც საკრებულომ ორჯერ უკვე ჩააგდო.**

მეჭიაური არ გამორიცხავს, რომ რაიონის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს დეპუტატებმა მხარი არც ამჯერად დაუჭირონ. თიანეთის მერი საკრებულოს წევრებს მომავალ სამოქმედო გეგმასაც წარუდგენს.

„ხალხის სახელით ვართ არჩეულები და ვაკეთებ იმას, რაც მგონია, რომ ხალხს გაუხარდებოდა, რომ გამეკეთებინა. ისინი ცდილობენ, დაბლოკონ ეს ყველაფერი. ვიცი, რომ იქ რაღაც ჯგუფი არსებობს, რომელსაც ხალხი სულ ჰკიდია ფეხებზე. ლაპარაკი მიდის იმაზე, რომ როგორმე პარალიზება გაუკეთონ ჩვენს საქმიანობას. თუ საქმეები შევა ჩიხში, რა თქმა უნდა, მე არანაირ დათმობას არ ვაპირებ,“ — განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

გუშინ საღამოს საკრებულომ მესამე მოსმენითაც ჩააგდო თიანეთის ბიუჯეტი. მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა....

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნების სიაში საქართველო 108-ე ადგილზეა

Global Finance-მა მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნების სია შეადგინა. გამოცემამ ქვეყნების სიმდიდრე ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავლით და ფულის მსყიდველობითი უნარის (PPP) გათვალისწინებით გამოთვალა.

საქართველო ამ რეიტინგში 108-ე ადგილს იკავებს, $10,099 შემოსავლით. საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან რეიტინგში აზერბაიჯანი 71-ე ადგილზეა, თურქეთი 63-ზე, რუსეთი 52-ზე, ხოლო სომხეთი - 114-ზე.

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნების სია შემდეგია:

კატარი (ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი PPP $129 512)
ლუქსემბურგი ($100 991)
მაკაო ($87 845)
სინგაპური ($86 854)
ბრუნეი ($77 662)
ქუვეითი ($70 587)
ირლანდია ($69 374)
ნორვეგია ($69 031)
არაბთა გაერთიანებული საემიროები ($67 947)
სან-მარინო ($64 465)

აქციის მონაწილეები სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზს ითხოვენ

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკიდან გათავისუფლებულმა თანამშრომლებმა საპროტესტო აქცია გამართეს და დირექტორ ოთარ შენგელიას კაბინეტში შეიჭრნენ. აქციის მონაწილეები გათავისუფლების მიზეზის განმარტებას ითხოვენ.

შენგელიას თქმით, მათ ხელშეკრულების ვადა ამოეწურათ და რამდენიმე მათგანის სამსახურში აღდგენას სამსახურებრივი გადაცდომების გამო არ აპირებს.

„სულ ცხრა თანამშრომელზეა საუბარი. ხუთ მათგანს გადაცდომა ჰქონდა, რაც შეეხება ოთხს, მე მათ ვუთხარი, რომ დროებით გავათავისუფლე, რადგან ფინანსური პრობლემები გვაქვს. როგორც კი გამოსწორდება მდგომარეობა, მათ ისევ დავაბრუნებ. კომისიამ შეგვამოწმა და აქ აღმოჩენილი დარღვევების გამო კლინიკა 80 000-მდე ლარით დაჯარიმდა. ლოგიკურია, რომ შეიქმნა ფინანსური პრობლემები“, — განაცხადა შენგელიამ.

აქციის მონაწილეები კი აცხადებენ, რომ მათ არანაირი დარღვევები არ ჰქონიათ და ისე მუშაობდნენ, როგორც მათ ხელმძღვანელი ავალებდა.

ზუგდიდის დევნილთა პოლიკლინიკის დირექტორად ოთარ შენგელია გასული წლის აგვისტოში დაინიშნა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში აცხადებენ, რომ ყოფილმა უფროსმა თამაზ ჯანაშიამ თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა. მათივე ინფორმაციით, საკადრო ცვლილებას წინ მედიკოსებს შორის დაპირისპირება უძღოდა.

ტურისტების ზრდის ტემპს ინფრასტრუქტურა ვერ მიჰყვება!

რამდენს ხარჯავს საქართველოში შემოსული ერთი ტურისტი საშუალოდ, ამის ოფიციალური სტატისტიკა კვლავაც არ არსებობს, თუმცა არაოფიციალურად და ექსპერტული გათვლებით, ისევე როგორც გასულ წლებში, 2017 წელსაც, საქართველოს უმეტესად მცირებიუჯეტიანი მოგზაურები ეწვივნენ.

ქვეყანას რომ მაღალბიუჯეტიანი ტურისტის მოზიდვა არ შეუძლია და ეს სახელმწიფო დონეზე მოსაგვარებელი საკითხია, ამის შესახებ სფეროს ექსპერტები და სფეროს წარმომადგენლები მუდმივად საუბრობენ. მართალია, წლიდან წლამდე ვიზიტორების რაოდენობა იზრდება, თუმცა მნიშვნელოვნად არ იზრდება ტურისტების დანახარჯები. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ჩოგოვაძის ინფორმაციით, 2017 წელს საქართველოს 7 554 936 მოგზაური ეწვია, რაც 1,194,433-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და აღინიშნება +18.8% ზრდა. რაც შეეხება ტურიზმიდან მიღებულ შემოსავალს, ჩოგოვაძის თქმით, 2017 წლის ბოლოს ქვეყანამ უკვე 2.7 მილიარდი აშშ დოლარი მიიღო. სამომავლო გეგმები კი ტურიზმის ადმინისტრაციას უფრო ამბიციური აქვს. ჩოგოვაძე ვარაუდობს, რომ „2018 წელს საქართველოში 8 მილიონი საერთაშორისო მოგზაური შემოვა, ხოლო შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში გადააჭარბებს 3 მილიარდ აშშ დოლარს. სპეციალისტები კი თვლიან, რომ ტურიზმიდან მიღებული თანხა ცოტაა და მაღალბიუჯეტიანი ტურისტების დიდი რაოდენობის შემთხვევაში, შემოსავალი გაცილებით უფრო ბევრი იქნებოდა.

როგორც შემომყვან ტუროპერატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ია თაბაგარი „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, ტურიზმის სფეროს მაღალი ხარისხი და შესაბამისი კომფორტი არ ახასიათებს, რის გამოც საქართველოში სტუმრობით მხოლოდ დაბალბიუჯეტიანი მოგზაურები ინტერესდებიან.

„შესაბამისი ციფრები და სტატისტიკა არ გვაქვს, თუმცა ჩვენ გვაქვს ინფორმაცია სპეციალური გამოკითხვებიდან. სასტუმროების, გიდების, ტურისტული კომპანიების გამოკითხვის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გასულ წელსაც შემოსული ტურისტების უმეტესობა ისევ დაბალბიუჯეტიანი იყო. როცაუცხოელ ტურისტებს ვეკითხებით, რატომ ირჩევენ საქართველოს, ამბობენ, რომ პირდაპირი და იაფი ფრენის გამო.

სამწუხაროდ, სფეროში შესაბამისი კომფორტი არ გვაქვს. **ტურისტების ზრდის ტემპს ინფრასტრუქტურა ვერ მიჰყვება. მაგალითად, ზამთრის კურორტებზე გზები ცუდად იწმინდება, პარკირების პრობლემებია, ყველა დამსვენებელი ამაზე საუბრობს. სანამ ტურიზმში ხარისხი, მომსახურება და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა არ გვექნება, მანამდე მაღალბიუჯეტიან მოგზაურებს ვერ მოვიზიდავთ. ამ ყველაფრის დალაგების შემდეგ, მოზიდვას სწორი მარკეტინგი სჭირდება“,** — აღნიშნავს თაბაგარი.

კითხვაზე, არის თუ არა სახელმწიფოს პრეროგატივა, რომ ქვეყანაში მაღალბიუჯეტიანი ტურისტების მოზიდვა მოხდეს, ია თაბაგარი პასუხობს, რომ ეს სახელმწიფომ და კერძო სექტორმა ერთად უნდა გააკეთონ, თუმცა, განსაკუთრებით სახელმწიფომ უნდა იაქტიუროს.

რაც შეეხება ტურიზმიდან მიღებულ შემოსავალს, 2,7 მილიარდ დოლარს, როგორც ია თაბაგარი აცხადებს, ეს თანხა ცოტაა: **„ჩემი აზრით, 2,7 მილიარდი ცოტაა და შეიძლებოდა, უფრო მეტიც ყოფილიყო. თუმცა ამასაც დაზუსტებით ვერ ვიტყვით, რადგან შესაბამისი კვლევები გვჭირდება“,** — აღნიშნავს თაბაგარი. მისივე ინფორმაციით, გასულ წელს ყველაზე ნაკლებად მხარჯველი ტურისტები რუსეთიდან, არაბული ქვეყნებიდან, ირანიდან, ინდოეთიდან შემოვიდნენ. ყველაზე მხარჯველები კი ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, სამხრეთ კორეისა და ძირითადად დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეები იყვნენ.

თეონა კენჭიაშვილი



პრეზიდენტმა „მამაცი იურისტი“ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრად დანიშნა

საქართველოს პრეზიდენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრად ანა დოლიძე წარადგინა. განცხადება გიორგი მარგველაშვილმა სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა.

„ჩემი გადაწყვეტილება გამაგრებულია პროფესიონალიზმით, სიმამაცით, ღირებულებებისადმი ერთგულებით და ამ ყველაფრით არა თეორიულად, არამედ ბევრი წლის განმავლობაში, რომლის დროსაც ამტკიცებდა ქალბატონი ანა, იყოს უაღრესად კვალიფიციური, მამაცი იურისტი“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და ანა დოლიძეს მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

2012 წელს გვქონდა მოლოდინი, რომ სისტემა გაუმჯობესდებოდა, თუმცა დღეს მართლმსაჯულება ბევრ კითხვას ვერ პასუხობს

ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა გამართულ ბრიფინგზე გააკეთა, სადაც მან იუსტიციის საბჭოს წევრად ანა დოლიძე დაასახელა:

„დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მართლმსაჯულების სისტემა რჩება იმ აქილევსის ქუსლად, რომელიც პრობლემად გასდევს ფაქტიურად ყველა ხელისუფლებას. 2012 წლის ხელისუფლების ცვლილების დროს ყველას გვქონდა ის მოლოდინი, რომ მართლმსაჯულების სისტემა თვისობრივად გაუმჯობესდებოდა, თუმცა დღეს შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ნდობა ზოგადად მართლმსაჯულების მიმართ სამწუხაროდ, ბევრ კითხვას ვერ პასუხობს“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

გიორგი მარგველაშვილი ამბობს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის ერთ-ერთი ის ორგანო, რომელსაც თავისი მანდატით ევალება უზრუნველყოს მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობა.

„არაერთხელ აღგვინიშნავს იმის თაობაზე, რომ მართლმსაჯულების სისტემაში საკანონმდებლო ბაზა ჯერ კიდევ დასახვეწია. მათ შორის იმაზეც გაგვისვამს ხაზი, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ბოლომდე გამჭვირვალეს და ეფექტურს გახდიდა ამ ორგანოს, ესეც გასაკეთებელია. თუმცა, არაერთხელ აღმინიშნავს იმის თაობაზე, რომ მარტო საკანონმდებლო ბაზით, განსაკუთრებით ისეთი ფაქიზი სისტემა, როგორიც არის სასამართლო სისტემა, მართლმსაჯულების სისტემა, ვერ უზრუნველყოფს თვისობრივად ახალ და უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას.

„ამ როლს თამაშობენ ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი პროფესიონალიზმით, პრინციპულობით, ერთგულებით უზენაესი ღირებულებების მიმართ, არა პოლიტიკური კონიუნქტურის, არამედ იმ უზენაესი ღირებულებების მიმართ, რომელსაც თითოეული მოქალაქე, განსაკუთრებით კი მოსამართლე უნდა ემსახურებოდეს. ამ ადამიანებით შენდება უკეთესი სამართლებრივი სისტემა“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

თუ ვინმე დაგვიპირისპირდება და პოლიტიკურ ელფერს შემოიტანს, ადეკვატურ პასუხს გავცემთ

ანა დოლიძე ბოლო დროს ძირითადად მოქმედებს,

როგორც პოლიტიკოსი, თუმცა იმედი გვაქვს, ახალი წევრი არ შესძენს საბჭოს პოლიტიკურ ელფერს, — აცხადებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი დიმიტრი გვრიტიშვილი. გვრიტიშვილი გამოეხმაურა გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრად ანა დოლიძეს დანიშნავს. მისივე თქმით, თავად საბჭო ყველანაირად შეეცდება, იყოს კონსტრუქციული.

„ეს არის პრეზიდენტის გადასაწყვეტი, თუ ვის მოავლენს საბჭოს წევრად. ზოგადად, საბჭოს წევრი უნდა იყოს მაღალი კვალიფიკაციის, მაღალი რეპუტაციის და პრინციპული. საბჭოს წევრმა თავი უნდა იგრძნოს, როგორც სასამართლო სისტემის წევრმა და იმოქმედოს, როგორც სასამართლო სისტემის ნაწილმა. რაც შეეხება მის ბოლოდროინდელ მოღვაწეობას, ბოლო პერიოდში ძირითადში იგი მოქმედებს, როგორც პოლიტიკოსი, თუმცა იმედი გვაქვს, საბჭოს ახალი წევრი არ შესძენს საბჭოს პოლიტიკურ ელფერს, არ შეეცდება პოლიტიკური ელემენტების შემოტანას და იმოქმედებს, როგორც სასამართლოს ნაწილი... თუ ვინმე დაგვიპირისპირდება და მოინდომებს პოლიტიკური ელფერის შემოტანას, შევეცდებით, ადეკვატური პასუხი გავცეთ“, — განაცხადა გვრიტიშვილმა.

პროკურატურა არ ერიდება ღია მუქარებს პრეზიდენტის მიმართ...

„ქართული ოცნების“ შემდეგ პრეზიდენტის ინსტიტუტის წინააღმდეგ აშკარად შეტევაზე გადავიდა ოცნებისადმი დაქვემდებარებული პროკურატურა“, — ასე აფასებს პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ აღმასრულებელი მდივანი ლევან სამუშია ე.წ. შეწყალების საქმის პროკურორ ირაკლი ნადარეიშვილის მიერ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიმართ გამოთქმულ კომენტარს.

ლევან სამუშიას განმარტებით, „პროკურორი ირაკლი ნადარეიშვილის განცხადება საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან მიმართებაში, არის „ქართული ოცნებისა“ და პოლიტიკური პროკურატურის პოზიცია და არ შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც ერთი პროკურორის განცხადება.

ბიბილოვი დონეცკის პოლიგონზე წვრთნებს დაესწრო

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ლიდერი დონეცკის არაღიარებულ სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტს განაგრძობს. ამის შესახებ „სპუტნიკ ოსეტია“ იტყობინება. **გავრცელებული ინფორმაციით, ანატოლი ბიბილოვი სეპარატისტთა სპეცდანიშნულების პოლკის პოლიგონზე იმყოფებოდა. სპეცრაზმელებს მან საახალწლო საჩუქრად სამხედრო ეკიპირების კომპლექტები და ხორცის გადამმუშავებელ ქარხანა „რასტდონში“ დამზადებული პროდუქტები გადასცა.** აღსანიშნავია, რომ დონბასში სეპარატისტთა მხარეს სამხრეთ ოსეთიდან ათობით მოხალისე იბრძვის. ისინი ბატალიონ „პიატნაშკას“ შემადგენლობაში ირიცხებიან.

ვნებები ვარლამის დაჭერის გამო...

„მიხეილ სააკაშვილი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მეორე ნაწილით. სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილს სასჯელის ზომად, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით, სამი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. მასვე დამატებითი სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების უფლება ერთი წლითა და ხუთი თვის ვადით ჩამოერთვა“.

განაჩენი გამოცხადდა. ვიმედოვნებ, რომ პირველია და კიდევ მოვისმენთ ფრაზას — მიხეილ სააკაშვილი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის №№ მუხლის შესაბამისად.

ახლა რა მინდა ვთქვა: საზიზღრობაა, როცა ისმის ფრაზა — სამწუხაროა, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ცნობილ იქნა დამნაშავედ!

რა არის სამწუხარო?

ის რომ დიქტატორი, სისხლიანი დიქტატორი ჩადენილი დანაშაულის გამო გასამართლდა, სამწუხაროა?

„კანონი უნდა აღსრულდეს, თუგინდ ქვეყანა დაიქცეს!“ — ამას ჯერ კიდევ ძველი რომაელები ამბობდნენ. ხალხი, რომლებმაც ნახეს ნერონი და ნახეს კალიგულა.

„სამწუხაროა, რომ ნიურნბერგის პროცესზე მოსამართლემ გერმანიის ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ასეთი განაჩენი გამოუტანა!“, — ეს გინდათ თქვათ?

დიახ, სამწუხაროა ის, რომ ეს განაჩენი ასე გვიან დადგა და სწორედ იმიტომ არის სამწუხარო, რომ სამართლიანობის აღდგენის ასეთი დაგვიანების შედეგებს ძალიან მწარედ ვიმკით.

ასე რომ, ჩემო „ლაითებო“, არ გინდათ ეს „ფოკუსები“, ვითომდა ძაან ცივილიზებულები და გულმოწყალენი ხართ! ძალიან კარგად გიცნობთ და ვიცი, რომ ისე გადაუვლით ქუჩაში მდგარ ხელგაწვდილ ბავშვსა და მოხუცს, თვალსაც არ დაახამხამებთ!

მსგავს შეფასებებში ნაცებს უფრო ვამართლებ, ვიდრე იმათ, ვინც ტელეეკრანებიდან კეკლუცობს და რატომღაც მგონია, რომ ტვინის რომელიღაც უჯრედში უკიაფებთ აზრი — რა იცი რა ხდება!

საოცარია, მაგრამ მას არავინ ედავება უზენაესი ღირებულების — საქართველოს პრეზიდენტის ფიცის დარღვევაში!

„მე საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის!“

მინდოდა ცალკე პუნქტებად გამომეყო ფიცის ის პუნქტები, რომლებიც მან დაარღვია, მაგრამ...

მიშამ აბსოლუტურად ყველაფერი დაარღვია!

ეს ახალი, ე.წ. პრეზიდენტი, ამ ფიცის დარღვევას ჩალიჩობს, მაგრამ არ გამოსდის.

„კონსტიტუციით მინიჭებული უფლება არ ნიშნავს, რომ მისი გამოყენება ვინმეს ბოროტად შეუძლია. რაც შეეხება მარგველაშვილს, ჩანს, პრეზიდენტი წუხს, ოდესმე ვინმეს მასთანაც არ გაუჩნდეს კითხვები“, — აცხადებს პროკურორი ირაკლი ნადარეიშვილი.

დიახ, სრულიად ვეთანხმები ბატონ პროკურორს. აბა, სხვა რა უნდა იფიქრო იმ მოლოდინების ფონზე, როცა ვრცელდებოდა ინფორმაციები ვანო მერაბიშვილის შესაძლო შეწყალების შესახებ და როცა საქართველოს პარლამენტის წევრი სერგო რატიანი მარგველაშვილს სააკაშვილის შეწყალებისკენ მოუწოდებს: „ჩვენ გვექნებოდა ასე ვთქვათ, მოწოდება და იქნებოდა სწორი ნაბიჯი დღევანდელი პრეზიდენტის მხრიდან, შეეწყალებინა მიხეილ სააკაშვილი, რადგან ეს იქნებოდა ორი გზავნილი და ორი რამის დემონსტრირება“, — განაცხადა რატიანმა. მისი თქმით, მარგველაშვილის მიერ სააკაშვილის შეწყალება ინსტიტუციის დაცვის მაგალითი იქნება.

ამ მოწოდებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ევროპული საქართველო“ „ორი კურდღლის დაჭერას“ ცდილობს. პირველი ის, რომ აფიქსირებს თავის პოზიციას სააკაშვილის განაჩენთან დაკავშირებით, რაც ძირითადად მათი ევროპელი პარტნიორებისთვის არის განკუთვნილი და მეორე — შეწყალების აქტი ვერ განხორციელდება, თუ თავად მსჯავრდებულმა არ მოითხოვა, ანუ მან უნდა აღიაროს დანაშაული.

„ევროპული საქართველო“ **(შეგვიძლია, ვიგულისხმოთ გიგა ბოკერია)** ირიბად აღიარებს სააკაშვილის ბრალს და მას დანაშაულის აღიარებისკენ მოუწოდებს, რასაც სააკაშვილი არაფრისდიდებით არ გააკეთებს თავისი თავკერძობის და, ასე ვთქვათ, „დანებების“ აღიარებით, მომხრეთა გულებში ბზარის შეტანის გამო.

სააკაშვილმა უკვე გააკეთა განცხადება, რომლითაც მან კიდევ ერთხელ გვაჩვენა თავისი ნამდვილი სახე: **„ღვთის გულისათვის, მე ხომ თანამედროვე საქართველოს ფუძემდებელი ვარ. საქართველოს მოსახლეობაში, სამართალდამცავებში და შეიარაღებულ ძალებში დიდი მხარდაჭერა მაქვს. თუ საქართველოში ჩემი ექსტრადიცია მოხდა, ყველას მოვუწოდებ ივანიშვილის მთავრობის მოშორებისკენ. მე ამას გავაკეთებ, ამას ღიად ვამბობ. ყველაფერს მშვიდობიანად გავაკეთებ, მაგრამ გავაკეთებ“.**

არ დავიწყებ ამ განცხადების განხილვას, რადგანაც, უპირველეს ყოვლისა, ამაზრზენია ამ ღვთის გარეგანისგან უფლის ხსენება, ამ ნარკომანი ქოსატყუილასგან „თანამედროვე საქართველოს ფუძემდებლობის“ საკუთარ თავზე დაბრალება, მაგრამ ის კი ყურადსაღებია, როცა ამბობს, რომ მას **სამართალდამცავებში და შეიარაღებულ ძალებში დიდი მხარდაჭერა აქვს**.

ეს ყველაფერი ხელისუფლების მხრიდან ნამდვილად გასათვალისწინებელია.

მწერალი პაატა ქურდაძე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს სოციალური ქსელში გამოეხმაურა და მოკლედ მიმოიხილა ფრანგული გამოცემების მიერ სააკაშვილის საქმის შეფასებები.

ის წერს, რომ სააკაშვილის საქმეს ფრანგული გამოცემა „ლე ფიგარო“ სტატიას უძღვნის, სადაც ერთი სიტყვაც არ წერია, რომ სააკაშვილს კონსტიტუციით მინიჭებული შეწყალების უფლების გამოყენების გამო მიუსაჯეს სამი წელი, როგორც ამას ზოგიერთი ქართული მედიასაშუალება წარმოაჩენდა.

გთავაზობთ პაატა ქურდაძის ფეისბუქ-პოსტს:

„ფიგარო“ სააკაშვილის სასჯელის შესახებ: საინტერესო განსხვავებაა ქართულ და ფრანგულ ინტერპრეტაციებს შორის: პუბლიკაციაში ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ ექსპრეზიდენტს კონსტიტუციით მინიჭებული შეწყალების უფლების გამოყენების გამო მიუსაჯეს სამი წელი. „ფიგარო“ წერს, რომ სააკაშვილი გასამართლებული იქნა ოთხი მაღალი ფუნქციონერის მიერ ახალგაზრდა კაცის მკვლელობის საქმის (როგორც ჩვენთან ამბობენ) „ჩაფარცხვაში“. რომ ევროპულმა სასამართლომ გააკრიტიკა საქართველო ამ საქმის წარმოებისას მიუკერძოებლობის, ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის დეფიციტის გამო. წერენ, რომ არსებობს შესაძლებლობა ექსპრეზიდენტის ექსტრადირებისა საქართველოში.

თუმცა, სტატიის მეორე ნაწილს მის უკრაინულ პრობლემებს უთმობენ. წერენ, რომ სააკაშვილს ბრალად ედება რუსეთში გაქცეულ ოლიგარქთან გარიგება. მისგან ნახევარი მილიონი დოლარის მიღება კიევში ანტისახელისუფლებო მანიფესტაციებისა და გამოსვლების ორგანიზებისათვის.

მემარჯვენე „ლე ფიგაროს“ სააკაშვილის სიძულვილს ვერ დასწამებ — ეს გამოცემა ყოველთვის განსაკუთრებულად უჭერდა მას მხარს შეკვეთილი თუ სარედაქციო პუბლიკაციებით. ამდენად, საინტერესოა ეს განსხვავება განაჩენის ინტერპრეტაციებს შორის. იმავეს წერს ცენტრისტი „ლე მონდი“: სააკაშვილს მიუსაჯეს „ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო“ და მიუსაჯეს, ხაზს ვუსვამ, ძიების და არა შეწყალების პროცესში უფლებამოსილების გადამეტებისათვის.

მე მეჩვენება, რომ განაჩენის ფრანგული ინტერპრეტაცია ბევრად უფრო ლოგიკურად ჟღერს ამ საქმის ისტორიიდან გამომდინარე, ვიდრე ქართული ინტერპრეტაცია, რომელსაც, როგორც ვატყობ, დიდი აყალმაყალი მოჰყვება ქართულ მედიაში, განსაკუთრებით სატელევიზიო სტუდიებში“, — წერს ქურდაძე.

აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონ პაატას და ძალიან შემაშფოთებლად ვხედავ იმ ფაქტს, რომ ხელისუფლებას, ფაქტობრივად, არ გააჩნია ის ტრიბუნა, საიდანაც შეძლებს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის სიმართლის მიწოდებას. ნაცტელევიზიები ფორსირებულად აწვდიან საზოგადოებას იმ მოსაზრებას, რომ სააკაშვილი გასასამართლეს არა უკანონო გარიგების, არამედ შეწყალების უფლების გამო და, ფაქტობრივად, არ ახსენებენ სტრასბურგის სასამართლოს უმკაცრეს განაჩენს, რომელშიც პირდაპირ ეწერა, რომ გირგვლიანის საქმის წარმოება მათთვის გამაოგნებელი იყო.

მეტს ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც წინ უკრაინის სასამართლოს განაჩენია. ამიტომ დაველოდოთ მოვლენების განვითარებას...

გია გაბრიჭიძე

პარალელები

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენსა და დანარჩენზე

მიზეზ-მიზეზ!

სამართალმა პურის ჭამა ინება
და „ნაცებმა“ აუტეხეს გინება,
მოსამართლე შეურაცხყვეს მუქარით,
მიხოსათვის რომ არ გახსნა „დუქანი“.
თვალზე ბინდი „ქამატოსაც“ წაჰკვრია,
„ნაცია“ და მათებურად წაკლია.
სასამართლოს მისთვის დიდი ნაკლი აქვს:
„მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლია!“
აქ „ნაცები“, კიევში კი ის ხვნეშის,
ვინც სამი წლით უნდა ჩაჯდეს ციხეში,
რადგან აღარ წარმოადგენს დილემას
„მატროსოვში“ მისი ექსტრადირება!
...სამართალმა პურის ჭამა ინება
და „ნაცისგან“ ნუღარ გვიკვირს გინება!

ტიკინა

ოლიგარქების პატრონსა
დედით, მამით და ბიძითა,
პრეზიდენტ-გუბერნატორსა,
ვისაც ლაყბობა იზიდავს,
ვირეშმაკობის იმ ცდითა,
ხელთათმნებად რომ იცვლიდა,
რისხვა დაატყდა იმ ციდან,
საიდანაც არ ელოდა...
ჰო, სწორედ საქართველოდან!
ვეღარ მოკიბავს, მიკიბავს,
ქარს მიაქვს რაც იტლიკინა
და ელის გრძელი ტიკინა
პაჩანჩურს კრეშჩატიკიდან!

მსჯავრი ამიერ-იმიერისა

ღია წერილი გატონ
გიორგი მარგველაშვილს

მოგმართავ მოქმედ პრეზიდენტს,
ვინც, როგორც დამწვარ წუმწუმას,
აგსურდულ „აზრებს“ ზედიზედ
მოისვრი წამდაუწუმა.
მარგველ! შეგვასწარ რა დროსა,
სული ვინ ჩაგაკირვინა,
რომ უღალატე სანდროსა
და ენუქიძე ირინას?!
რადგან გადაჰყევ სკამზე ჯავრს,
არ გამაკვირვებს სრულებით,
იმიერიც თუ დაგდებს მსჯავრს
შვილმკვდარ დედათა სულებით!

ალექსანდრე შენგელია,
ქ. ქუთაისი

◎ ხსოვნა

სხვის ჯანმრთელობაზე მზრუნველს საკუთარი დაავიწყდა!..

ფრიდონ თოდუას დღეს 74 წელი შეუსრულდებოდა



სულ რაღაც ოთხი თვეა, რაც ჩვენ შორის არ არის **ფრიდონ თოდუა,** საყოველთაოდ ცნობილი ქართველი, უმაღლესი დონის პროფესიონალი, მსოფლიო აღიარების მქონე მეცნიერი, ევროპის, ამერიკისა და რიგი საერთაშორისო რადიოლოგიური და ქირურგიული ასოციაციების წევრი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოსა და პრემიის მფლობელი, უბადლო ორგანიზატორი და, ამავე დროს, თითქოს ერთი რიგითი ქართველი, უზომოდ შეყვარებული თავის ხალხსა და ქვეყანაზე, გამორჩეული პიროვნული თავმდაბლობით, გულმოწყალებით, კაცთმოყვარეობით, სხვისი ჭირისა და ტკივილის გათავისებით.

ბატონი ფრიდონის ამ ადამიანურ ღირსებებზე შემთხვევით არ გამიმახვილებია ყურადღება. მასთან მრავალწლიანმა საქმიანმა და მეგობრულმა ურთიერთობამ დამარწმუნა, თუ რაოდენ დიდი იყო მასში უბრალო, ხელმოკლე, დაუცველი ადამიანების დახმარების სურვილი და რა დიდ ბედნიერებას ანიჭებდა თითოეული გადარჩენილი სიცოცხლე, მადლიერი პაციენტების ბედნიერი სახეები.

ის იყო ადამიანი, რომელიც ყველაფერში გიქმნიდა კომფორტს, თავიდან აგაცილებდა ყოველგვარ უხერხულობას და თუ იქით ვერ გაუბედავდი, ან ვერ შეკადრებდი, აქეთ შემოგთავაზებდა მისთვის ჩვეულ უანგარო დახმარებას, თანადგომას... ასე შემოგვთავაზა მან მის მიერ დაარსებულ, საქართველოს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან თანამშრომლობა, ანუ ფრიდონ თოდუა ერთ-ერთი პირველი იყო საქართვლოს სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელთა შორის, რომელსაც ჩვენი დახმარების სურვილი თავად გაუჩნდა . სამხრეთ კავკასიის ამ ყველაზე წარმატებულ კლინიკაში სამედიცინო კონსულტაციებს და მაღალტექნოლოგიურ კვლევებს დღესაც უსასყიდლოდ იტარებენ ჩვენი დევნილები, ოკუპირებული ტერიტორიიდან ჩამოსული ბენეფიციარები, რომელთა შორის უმეტესობა ეთნიკური აფხაზია.

ბატონი ფრიდონი იყო ადამიანი, რომელიც კარგად იცნობდა აფხაზ ეთნოსს, მის ისტორიულ და გენეტიკურ წარმომავლობას. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დარეგულირების საქმეში განსაკუთრებულ როლს ჯანდაცვას ანიჭებდა და ეს კარგად იცოდა ყველამ, როგორც თბილისში, ასევე, სოხუმშიც, გალშიც და სამაჩაბლოშიც. სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია ურთიერთობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოღვაწე აფხაზ კოლეგებთან, რომლებიც ენდობოდნენ და უაღრესად დიდ პატივს სცემდნენ ამ მსოფლიო მასშტაბის მედიკოს-მეცნიერს, ეამაყებოდათ მასთან ურთიერთობა, ითვალისწინებდნენ მის პროფესიულ რჩევებს.

ბატონი ფრიდონის აქტიური მხარდაჭერით საფუძველი ჩაეყარა მისი მშობლიური, ზუგდიდის რაიონის რუხის საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობას. კლინიკა, მისი თქმით, ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების ნათელი დასტური უნდა ყოფილიყო და მას ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენის ერთ-ერთი მძლავრი ბურჯის ფუნქციაც უნდა ეტვირთა. მძიმე ავადმყოფიც კი ხშირად უბრუნდებოდა ამ თემას და ამით მიგვანიშნებდა მისი ცხოვრების უმთავრეს ნიშნულზე – დიდი ხელოვნებაა, დანერგო მშვენიერი იდეები, რომლებიც ადამიანთა ბედნიერებისათვის ყველაფრის შეწირვას მოითხოვს.

ფრიდონ თოდუას, საკუთარი სამშობლოს, საკუთარი ხალხის კეთილდღეობას შეწირულ ადამიანს ზედმიწევნით მიესადაგება ერთ-ერთი ბრძენის სიტყვები – ექიმს ეპატიება, უმკურნალოს სხვას, მაგრამ თვითონ არ იყოს ჯანმრთელი.

სხვის ჯანმრთელობაზე მზრუნველს საკუთარი დაავიწყდა – მოულოდნელად დაგვტოვა.

ფრიდონ თოდუას მსგავსი ადამიანები ქმნიან ეპოქას, განურჩევლად იმისა, სადაა მათი ასპარეზი – მსოფლიოს წამყვან ქირურგიულ ცენტრებში, ასოციაციებსა თუ მშობლიური ქვეყნის ჯანმრთელობის საქმიანობაზე.

ვახტანგ ყოლბაია,
აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

◎ ალიარება

პროფესორი ნუგზარ ალექსიძე ფსიქოლოგიისა და ფსიქოლოგიის კვლევის საერთაშორისო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრად აირჩიეს

2017 წლის 30 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნუგზარ ალექსიძემ **ფსიქოლოგიისა და ფსიქოლოგიის კვლევის საერთაშორისო ჟურნალის Assistant Managing Editor**-ის **მარტჰა ანნასაგან** მიიღო წერილი მიეცა თანხმობა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრობაზე და სთხოვა, გაეგზავნა მისთვის ავტობიოგრაფია, **SV** და სურათი. **2018 წლის 2 იანვარს** პროფ. ნ. ალექსიძემ მიიღო საპასუხო წერილი, სადაც მარტჰა ანნა წერდა: **We are glad to inform you that we have uploaded you as an Editorial Board member for the Psychology & Psychological Research International Journal** და თან გამოუგზავნა სარედაქციო კოლეგიის წევრების სურათების კლიპი: **https://medwinpublishers.com/PPRIJ/editorial-board.php**. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ფსიქოლოგიის ასეთი დიდი ტრადიციის მქონე ქვეყნიდან პროფესორ ნუგზარ ალექსიძის სურათი განთავსდა ამერიკის ფსიქოლოგიის ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ნამდვილ წევრებს შორის წარწერით:

Nugzar Aleksidze
Tbilisi State University
Georgia

ფსიქოლოგიაში ნუგზარ ალექსიძის მოღვაწეობა დაიწყო მას შემდეგ, რაც იგი მიწვეული იყო წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მიმართულების აღორძინების მიზნით. მალე პროფ. გ ალექსიძესთან ერთად შექმნეს ბიოლოგიის სამეცნიერო ცენტრი, რომელიც აღჭურვილი იყო კვლევის თანამედროვე ხელსაწყოებით. უნივერსიტეტის ლაბორატორია გახდა ერთ-ერთი საჩვენებელი სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის. ნ. ალექსიძეს, როგორც ფუნქციური ნეიროქიმიის სპეციალისტს, დაევალა, აგრეთვე, ფსიქოლოგებისთვის წაეკითხა სალექციო კურსი „ფსიქობიოლოგიის საფუძვლები“

ამ მიმართულებით, ლიტერატურის გაცნობის შემდეგ, სტუდენტებისთვის მან მოამზადა ორი სახელმძღვანელო: **„სალექციო კურსი ფსიქობიოლოგიაში“ (2013) და „ფსიქობიოლოგიის საფუძვლები“** (საქ. მეც. ეროვნული აკად. გამომცემლობა **(2014)**. მალე სტუდენტებმა დაიწყეს არა ბიოლოგიური ფსიქოლოგიის, არამედ ფუნქციური ნეიროქიმიის მიღწევების საფუძველზე ფსიქოლოგიური ქცევის ბიოლოგიის ბიოქიმიური საფუძვლების შესწავლა, როგორც ეს მიღებულია მსოფლიოს ფსიქოლოგიურ სასწავლო ცენტრებში. ლექციების კითხვის პროცესში ნ. ალექსიძე დაინტერესდა დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიით და მოახდინა მისი განწყობის თეორიის მოდიფიცირება, **განწყობა-ქცევის** ნაცვლად, შეიტანა კიდევ ერთი აუცილებელი ინფორმაციული კომპონენტი **ადაპტაციური სინდრომი** და უზნაძის განწყობის თეორიამ ახალი სახე მიიღო: **განწყობა-ადაპტაციური სინდრომი-ქცევა**. ნაშრომი გამოქვეყნდა აშშ-ი **„Psychobiological Foundation of the Theory of Attitude4. Advances in Psychology Research“**-2013 **(N. Aleksidze),** მალე ის ფსიქოლოგების მიერ იქნა აღიარებული. ნუგზარ ალექსიძის მიერ გამოქვეყნებული მრავალი სამეცნიერო ნაშრომი ფსიქოლოგიის საკითხებზე გახდა იმისი საფუძველი, რომ ნუგზარ ალექსიძე არჩეულია ამერიკის საერთაშორისო ჟურნალ ფსიქოლოგიის სარედაქციო კოლეგიის ნამდვილ წევრად.

დღეს, 9 იანვარს პროფესორ ნუგზარ ალექსიძის დაბადების დღეა, გვინდა, ვუსურვოთ ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე და წარმატებული შემოქმედებითი საქმიანობა მეცნიერებასა და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

ნოდარ საყვარელიძე

ნაძალადევის რაიონში დევნილების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით კიდევ ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი დასრულდა

ნაძალადევის რაიონში, დევნილების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, კიდევ ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი დასრულდა. საყვირის ქუჩაზე მდებარე დევნილთა დასახლებაში, სადაც 182 ოჯახი ცხოვრობს, სადარბაზოები მოწესრიგდა.



მერიის ინფორმაციით 2017 წელს მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს კეთილმოწყობის მიზნით, ნაძალადევის რაიონის გამგეობის თანადაფინანსებით, სულ 257 პროექტი განხორციელდა. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაო 475 სადარბაზოში შესრულდა: რეაბილიტაცია ჩაუტარდა ლიფტებს და კიბეებს, გამოიცვალა წყალკანალიზაციის შიდა ქსელი და წყალსაწრეტი მილები, დამონტაჟდა მეტალის კარები და სენსორული განათება, გარდა ამისა, ჯამში 50 083 კვადრატულ მეტრ ფართობზე კორპუსის სახურავები შეიცვალა. გასულ წელს შესრულებული სამუშაოებისთვის ნაძალადევის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 2 794 421 ლარი გამოიყო. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროექტების თანადაფინანსება 2018 წელსაც აქტიურად გაგრძელდება.

შეიქმნა პოლონურ-ქართული სავაჭრო პალატა

პირველად საქართველოში პოლონურ-ქართული სავაჭრო და ეკონომიკური პალატა შეიქმნა. პალატის შექმნაში, მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სექტორში არსებულმა 20-მა პოლონურმა და ქართულმა ორგანიზაციამ.

პროცესებში ჩართული იყო, როგორც პოლონეთის საელჩო საქართველოში, ასევე საქართველოს საელჩო პოლონეთში. სავაჭრო პალატის პარტნიორები არიან პოლონური ინვესტიციის და სავაჭრო სააგენტო (**Polish investment and trade Agency**) და აწარმოე საქართველოში (**Enterprise Georgia**).

„ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲠ ᲮᲐᲠ ᲛᲝᲜᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲙᲔ, ᲮᲝᲚᲝ ᲗᲣ ᲙᲔ ᲮᲐᲠ, ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲪᲐ ᲮᲐᲠ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ“ (�გᲐᲚ. 4,7).

ᲐᲛᲐᲚᲦᲘᲗ!

ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲢᲐᲠᲔᲡᲘᲡ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ, ᲛᲪᲮᲔᲗᲐ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲣᲛ-ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲢᲠᲝᲠᲝᲚᲘᲢᲘᲡ

ᲘᲚᲘᲐ II-ᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲢᲝᲚᲔ

ᲧᲝᲕᲚᲐᲓᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲜᲝ ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲛᲗᲐᲕᲐᲠᲜᲝ, ᲦᲘᲠᲡᲜᲝ ᲛᲝᲫᲚᲕᲐᲠᲜᲝ, ᲓᲘᲐᲙᲝᲜᲜᲝ, ᲑᲔᲠ-ᲛᲝᲜᲝᲖᲝᲜᲜᲝ, ᲩᲔᲛᲝ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲝ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲝ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲝ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲝ, ᲒᲘᲮᲐᲠᲝᲓᲔᲗ!

„ᲐᲮᲚᲐ, ამ ღამეს, მთელ კაცობრიობას და თითოეულ ჩვენგანს კვლავ ეუწყება ანგელოზის საოცარი სიტყვები, პირველად ბეთლემელმა მწყემსებმა რომ გაიგონეს: „...მე გახარებთ დიად სიხარულს, რომლითაც იხარებს მთელი ხალხი, რადგან დღეს დავითის ქალაქში დაიბადა თქვენი მაცხოვარი...“ (ლუკა. 2.11) და მსოფლიოს კვლავაც ეფინება ზეციური საგალობელი: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკა 2.14).

ანთებული სანთლებით მწყემსებთან და მოგვებთან ერთად სულიერად ჩვენც გავეშუროთ ბეთლემისაკენ და მივეახლოთ ყრმა იესოს, — წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მიერ დავითის ძედ წოდებულს.

რატომ შეიყვარა ღმერთმა ასე დავითი? რატომ მიაგო გამორჩეული პატივი? შობის ადგილად მისი ქალაქი რატომ ირჩია და თავისი ხორციელი წარმომავლობა მას რატომ დაუკავშირა?!

პირველ რიგში იმიტომ, რომ იგი გახდა მეფე-რჩეული.

დავითს ძლევამოსილობის მწვერვალზეც და უდიდესი შეჭირვების ჟამსაც სულით ხორცამდე ჰქონდა განცდა იმისა, რომ ქვეყანაში თვითონ კი არ მეფობდა, არამედ, ყოვლადსახიერი უფალი. თავად კი იყო ოდენ მსახური და მისი ნების აღმსრულებელი, ამიტომაც თავმდაბლად სრულად იყო მასზე მინდობილი და უდრტვინველად ემორჩილებოდა.

ძველი აღთქმის მეფეთა შორის მეფე-მსახურის ტვირთი ასე სწორად, ასე ღირსეულად არავის უტარებია და დღეს აც იგი მისაბაძად რჩება.

დავითს ჰქონდა დიდი შეცდომებიც, მაგრამ ჰქონდა გულმხურვალე, გულწრფელი, სულისშემძვრელი სინანული და ეს განცდა იმდენად ძლიერი იყო მასში, რომ სჭარბობდა ცოდვათა სიმძიმეს და მაგალითად გახდა დაცემულთა წამოდგომისა.

თავმდაბლობისა და გულშემუსვრილობის გამო მიეცა მას წინასარმეტყველების მადლი და უფალთან პირდაპირი საუბრის ძალმოსილება, რითაც იქცა მეფობის, ღვთისმახურებისა და წინასწარმეტყველების ნიჭთა შემომკრებად.

ამ თვისებათა გამო დაფასდა დავითი ღვთის თვალში.

* * *

ᲩᲕᲔᲜ ყველამ მშობლებისა და წინაპართაგან მივიღეთ გენეტიკური მემკვიდრეობა. ამ მემკვიდრეობის, გარემოებათა და პიროვნული არჩევანის მიხედვით კი ვყალიბდებით ინდივიდებად.

ეს შემოქმედებითი პროცესია, რადგან გვაქვს შესაძლებლობა, ჩვენი ქმედებების ნაწილი მოვიწონოთ, ნაწილი დავიწუნოთ, ზოგს განვერიდოთ, ზოგს მუდმივად ვებრძოლოთ... და ასე გავხდეთ თანამონაწილე ჩვენი „მე“-ს გამოძერწვისა.

ავს ვაკეთებთ თუ კარგს, ეს ყველაფერი შემდეგ იმ ქვეყნად აისახება და მთელი სისავსით გამოვლინდება; ამიტომაც ჩვენს ყველა ნაბიჯს და არსებობის ყოველ წუთს, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ ვმოქმედებთ გონებით, სიტყვით, საქმით, გრძნობით და პასუხს ვაგებთ ფიქრზე, რომელიც გონებაში გვაქვს, საქმეზე, რომელსაც ვაკეთებთ, ტკივილზე თუ სიხარულზე, რომელსაც განვიცდით, სიტყვაზე, რომელსაც ვამბობთ, მზერაზეც კი... რადგან ეს ჩემი აზრია, ჩემი გრძნობაა, ჩემი მოქმედებაა, ჩემი სიტყვაა, ჩემი განწყობაა. მე ვქმნი ამ ყოველივეს და ჩემს „მე“-დ, ჩემს ინდივიდუალურ ყოფად ვაქცევ.

წარმოიდგინეთ, მუდმივად რამდენი მიმართულებით ვავლენთ თავს. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში არც ვუკვირდებით და ვერც ვაცნობიერებთ, რას ვაკეთებთ, რატომ და როგორ ვმოქმედებთ.

რა არის ჩვენთვის სასარგებლო ან უარსაყოფი, რა ითვლება სიმართლედ და სიკეთედ, როგორ ვიცხოვროთ, როგორ მოვიპოვოთ ბედნიერება? — ეს კითხვები ფილოსოფოსთათვის საუკუნეთა მანძილზე განსჯის საგნად იყო ქცეული და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

ქრისტიანობამ კი ყველასთვის გასაგებად მარტივად გასცა მას პასუხი: „შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი სულით და მთელი შენი გონებით. ეს არის პირველი და დიდი მცნება და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“ (მთ.22, 37-39), ანდა „ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექეცით მათ“ (მთ. 7,12).

„შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი სულით და მთელი შენი გონებით. ეს არის პირველი და დიდი მცნება და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“ (მთ.22, 37-39), ანდა „ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექეცით მათ“ (მთ. 7,12).

მაგრამ ამგვარი ცხოვრების შედეგი არ არის მიწიერი ბედნიერება, სიმდიდრე და თანამდებობა, არც პატივი და უზრუნველი ყოფა.

* * *

ᲐᲡᲔᲗᲘ ცხოვრების შედეგი არის მარადიული ნეტარება, მარადიული სიხარულის განცდა და ანგელოზთა თანა ქრისტეს საუფლოში მყოფობა.

წუთისოფელში ყოველთვის იყვნენ და არიან ადამიანები, რომელნიც ამქვეყნიურ, წარმავალ კეთილდღეობას ირჩევენ ცხოვრების მიზნად და სხვა არც არაფერი სურთ. მაგრამ იყვნენ, არიან და იქნებიან ისეთნიც, რომელნიც ბედნიერებას უფალთან ერთობაში ხედავენ.

ასეთი აზროვნება ზოგიერთს ადრეული ასაკიდან უყალიბდება, ზოგი განსაცდელის შემდეგ ხდება მორწმუნე, ნაწილიც განსჯით ეძიებს და იმეცნებს ღმერთს, რომელთანაც სიახლოვეს მთელი ძალით ეკლესია შეგვაგრძნობინებს.

* * *

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ და რას ნიშნავს ეკლესია?

ეკლესია ღვთის მიერ მოწოდებულთა და მისი სიწმინდის გარშემო გაერთიანებულთა კრებულია.

პირველი ეკლესია ჩვენთვის უხილავია და იგი შემოქმედთან ანგელოზთა დასის ურთიერთობას გულისხმობს.

ადამს, ევასა და ღმერთს შორის დაცემამდელი კავშირი კი იყო ედემში არსებული ეკლესია, ანუ ის სივრცე, რომელშიც შემომქმედთან ჩვენი პირველმშობლების ერთობით ხდებოდა მათი ნეტარებითი ცხოვრება.

ცოდვით დაცემის შემდეგ ხილული ეკლესია კვლავ შენარჩუნდა აბრაამის და სხვა მამათმთავართა კრებულში; სჯულდებითი სახე კი მას სინას მთის გამოცხადების შემდეგ მიეცა.

I საუკუნემდე მთელს მსოფლიოში მხოლოდ ისრაელში არსებობდა ეკლესია, სადაც იდიდებოდა ჭეშმარიტი ღმერთი.

I საუკუნის დასაწყისში, სულიწმინდის მოფენის დღეს დაარსდა ახალი აღთქმის ეკლესია, რომელმაც მაცხოვნებლობითი მადლმოსილება შესძინა იმ მსახურებას ძველი აღთქმის ეკლესიაში რომ აღესრულებოდა.

მისი მოწყობის წესი, იერარქია და საიდუმლოებები მაცხოვარმა თვითონ დაადგინა. ყველაზე მთავარი კი არის ის, რომ მხოლოდ ეს ეკლესია არის მაცხოვნებელი, მარადიული სიცოცხლის წყარო და ემბაზი, რადგან იგი უშუალოდ იესო ქრისტეს მიერაა დაარსებული და მისი სისხლითაა გამოსყიდული. „კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მთ. 1,16), — ბრძანებს უფალი.

* * *

ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲘᲗ უნდა აღვნიშნოთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესია არასოდეს მძლავრობს პიროვნებაზე. მიუხედავად იმისა რომ ღმერთი ყოვლისშემძლეა, მისთვის უცხოა ჩვენი ნების რაიმე სახით შეზღუდვა (ცოდვა კი იმონებს კაცს და თავის მორჩილად ხდის), იგი კაცობრიობას და თითოეულ ჩვენგანს გადარჩენის გზებს უჩვენებს და გვთავაზობს თანამოღვაწეობას ჩვენს სულში და ჩვენს გარემოში გაბატონებული ბოროტი ძალის დასამარცხებლად. ამისთვის კი არ არის საკმარისი მხოლოდ ჩვენი სიტყვიერი აღმსარებლობა, არც ღრმა თეოლოგიური ცოდნა, არც წესების შესრულება, აუცილებელია ყოველი ჩვენგანის პირადი მოღვაწეობაც, ქმედებებში გამოვლენილი ჩვენი ბრძოლა გამარჯვებისათვის.

ამიტომაც ეწოდება ქრისტეს ეკლესიას მებრძოლი ეკლესია, ხოლო ვინც ამქვეყნად ამ სულიერ ბრძოლაში არ მონაწილეობს და ცხონების გზას არ ადგება, თუნდაც ეკლესიაში რეგულარულად დადიოდეს და სასულიერო პირიც იყოს, ქრისტეს ცოცხალი და ცხოველსმყოფელი ეკლესიის გარეთ დარჩება.

ვიტყვით იმასაც, რომ მებრძოლი ეკლესია იარსებებს მეორედ მოსვლის შემდეგაც, ოღონდ ახალი ფორმით, — მოზეიმე ეკლესიის სახით, ცოდვებზე გამარჯვებულ ნათლის შვილთა და ღვთის ძეთა კრებულის სახით.

ასე რომ, ეკლესია ყოვლადწმინდა სამების მადლთან ანგელოზთა და კაცთა თანაზიარების ადგილია. იგი შესაქმის თანადროულია, ანუ სამყარო ეკლესიის გარეშე არ არსებობს!

ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ მებრძოლი, გადამრჩენელი, მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნი ვართ და ძალგვიძს, მოზეიმე ეკლესიის თანაზიარნიც გავხდეთ.

* * *

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ეკლესიის წევრობა ცოდვის მონობისაგან ჩვენს გათავისუფლებას, საკუთარი თავის ფლობას, სხეულზე სულის წარმმართველობას გულისხმობს.

წარმომავლობის, ეთნოსის, წარსული ცოდვილი ცხოვრების მიუხედავად ქრისტე არ ერიდება უდიდეს სიწმინდეში ჩვენს შეყვანას, ზიარების მადლით კი მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ვხდებით.

მაგრამ ამ სიწმინდეს გვთავაზობს არა პატივისათვის, არამედ პასუხისმგებლობისთვის, არა ბატონობისთვის, არამედ მოყვასზე ზრუნვისთვის, დავით წინასწარმეტყველის მსგავსად მეფე-მსახურად ჩვენი წარმოჩენისთვის.

„მადლისა და სიმართლის უხვად მიმღებნი იმეფებენ სიცოცხლეში, იესო ქრისტეს მიერ“ (რომ.5,17), — ვკითხულობთ წმინდა წერილში, რადგან „უკეთუ დავითმენთ, მასთან (იესოსთან) ერთად ვიმეფებთ“ (II ტიმ. 2,12).

ქრისტიანად ყოფნა ნიშნავს ისეთი თვისებების ქონასაც, როგორიცაა, ერთი მხრივ, თავმდაბლობა, მეორე მხრივ, — უშიშრობა და სხვისთვის თავგანწირვა; ერთი მხრივ, გულწრფელობა და უბოროტობა, მეორე მხრივ, — სიბრძნე და გონიერება, სხვისი აზრის მოსმენისა და და უმჯობესის გამორჩევის უნარი...

როდესაც ვუყურებთ ჩვენს თანამედროვე მდგომარეობას, ერთგვარი შიში

და უკმაყოფილება გვიპყრობს, რადგან ქრისტიანული წესით ცოტა ცხოვრობს და ეკლესიის მაცხოვნებელ საოცარ წიაღს მოწყვეტილნი, ვითარცა ხის ნაფოტნი და ვაზის ნასხლევნი, სიცოცხლეს კარგავენ.

...ახალს არაფერს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და კაცობრიობის დღევანდელი მდგომარეობა მეტად მძიმეა. პიროვნება უფსკრულის წინაშე აღმოჩნდა და ღვთის მადლის გარეშე დარჩენილს, აღარ ძალუძს, თავი დააღწიოს შექმნილ მდგომარეობას; ინგრევა ოჯახები, უმეთვალყურეოდ რჩებიან ბავშვები; გამეფდა სიცრუე, ამპარტავნება, გაუტანლობა, ეგოიზმი, შური და ღვარძლი; ადამიანი ცდილობს, გაექცეს ამ რეალობას, მაგრამ გზაბნეული ხსნას ძირითადად ნარკოტიკის მოხმარებაში ხედავს, რითაც მდგომარეობას კიდევ უფრო ირთულებს.

ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ მებრძოლი, გადამრჩენელი, მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნი ვართ და ძალგვიძს, მოზეიმე ეკლესიის თანაზიარნიც გავხდეთ.

აუცილებელია, შემუშავდეს ისეთი ნარკოპოლიტიკა, რომელიც ახალგაზრდებს დაიცავს და შექმნის უარყოფით განწყობას ამ უმძიმეს სენთან მიმართებით. ამასთან, უნდა აშენდეს სარეაბილიტაციო ცენტრები, სასკოლო ასაკიდანვე უნდა მოხდეს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება და გატარდეს სხვა ღონისძიებები.

მაშინ, როდესაც ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას, ყველას განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულობა გვმართებს, რათა აღნიშნული პრობლემისადმი სწორი კომპლექსური მიდგომა განხორციელდეს და რეალური, შედეგის მომტანი ნაბიჯები გადაიდგას.

მაინც მწამს ქვეყანა, რომელიც უფლისა და ღვთისმშობლის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშაა და რომელმაც 2000 წლის მანძილზე რწმენისთვის თავგანწირვის მრავალი მაგალითი აჩვენა, ქრისტიანობისთვის მებრძოლ სულს კვლავაც შეინარჩუნებს და ცხონების გზას, ათას ქარტეხილთა მიუხედავად, არ დატოვებს.

ამის იმედს განსაკუთრებით მაძლევს ჩვენი მომავალი თაობა, საოცრად ნიჭიერი და ღვთისმოყვარე ჩვენი ბავშვები. დღეს, უპირველეს ყოვლისა, მათი ზეიმია და გულითადად ვულოცავ და ვლოცავ მათ.

ვლოცავ პატიმრობაში მყოფთ, სნეულთ და გაჭირვებულთ.

დღესასწაულს კიდევ ერთხელ ვულოცავ ქართველებს, აფხაზებს, ოსებს, ბერძნებს, უკრაინელებს, რუსებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, უდინებს, იეზიდებს, ქურთებს, ინგუშებს, ჩერქეზებს, ჩეჩნებს და ლეკებს, ყოველ სხვა მკვიდრთ საქართველოისა და საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ.

მაშ, „განვიშორნეთ უკუე საჭურველნი გნელისანი, რათა შევიწყნაროთ დღე აღმოდაბადებისა“ (იოანე თესალონიკელი). „ქრისტე იშვების, ადიდეგდეთ! ქრისტეს ზეციით მოვალს, მიეგებვოდეთ! ქრისტე ქვეყანასა ზედა არს, ამაღლდით!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი
ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი,
შობა ქრისტესი,
2017/2018

◎ **რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდებაის!..**

ობლის ცხოვრება, ღვთის მადლით, აღმავალია...

1957 წლის იანვარში მამის გარდაცვალებით დამწუხრებულმა ოჯახმა ფოთიდან თბილისში, ბიძის ოჯახში გამომამგზავრა – 12 წლის ბიჭს გული არ დაუდარდიანდეს, ცხოვრების გარემო გაუხალისდესო. ბიძის სახლი ზიარი ეზოთი ემიჯნებოდა წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის ეზოს. ფაქტობრივად ამ ტაძრის შემოგარენში ვიზრდებოდი...

ბუნებრივია, მოზარდის გონსა და სულში ბავშვობიდანვე ნათლად ჩაიქარგა მართლმადიდებლობის სიდიადე და მადლი. ეკლესიაში ხშირად საღმრთო მსახურების მონაწილეც გახლდით. დღესაც თვალნათლივ მახსოვს 1957 წლის აპრილი, ის ამაღლებული საზეიმო განწყობილება, როცა ეზო და შემოგარენი მრევლს ვერ იტევდა. მაშინ არა, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად, ნათლად გავიცნობიერე იმდღევანდელი ხალხმრავლობის მიზეზი – მაშინ ამ ტაძარში ჩვენი უსაყვარელესი, საფიცარი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II აღმშენებელი ბერად აღიკვეცა. მაღალი ღმერთის წყალობითა და მადლით ასე დაიწყო ჩემი, როგორც შემდგომში პატრიარქის შვილობილის გულწრფელი, გულმხურვალე სიყვარული და აღფრთოვანება მისი უწმინდესობის პიროვნებით.

შემდგომ, ჩემი აჭარაში მუშაობისას, იგი ხშირად ჩამობრძანდებოდა ბათუმში. საბედნიეროდ, ჩემს აჭარელ ძმებთან ერთად გულმხურვალედ ვმასპინძლობდი უწმინდესს, თანამოგზაური გახლდით მისი წმინდა ადგილების მოსალოცად მგზავრობისას. ერთხელ, გამომშვიდობებისას წმინდა ბიბლია და ოქროს ჯვარი ყელსაბამით მისახსოვრა, რომელსაც დღემდე მკერდიდან არ ვიცილებ, ვგრძნობ რა მისი დალოცვის ძალასა და მადლს...

მაგონდება ფოთში მუშაობის დროს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დიდი ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით აგებული საკათედრო ტაძრის კვლავ ეკლესიისთვის დაბრუნების საჭირო ერთობლივი ღონისძიებებში მონაწილეობა და საკითხის პრაქტიკული რეალიზაცია; ტაძარში განთავსებული თეატრისთვის ახალი შენობის დაპროექტება; ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისა და დამსახურებისათვის ცოტნე დადიანისა (2000 წ.) და გიორგი ჭყონდიდელის (გიორგი ბედიას, 2005 წ.), ფაზისის აკადემიის წარდგინებით, წმინდანებად კურთხევა.

ხობში მუშაობისას ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის (XII საუკუნე) სპილენძით გადახურვა, ეზოს კეთილმოწყობა და 5 ჰექტარი ტყე-პარკის ეკლესიისთვის საჩუქრად გადაცემა... მოგეხსენებათ, ხობის მონასტერში საუკუნეების მანძილზე დაცული იყო ღვთისმშობლის კვართი და ინახებოდა წმინდა თამარ მეფის გულსაკიდი ოქროს ჯვარი ძვირფასი ქვებით შემკული და სხვა სიწმინდეები; ფოთში ფაზისის ეპარქიის რეზიდენციისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირება და ახლად აღდგენილი ეპარქიისთვის 7 ჰექტარი ტყე-პარკის (ციტრუსოვანთა ნარგავებით) საჩუქრად გადაცემა, მრავალ ანალოგიურ საერო და საეკლესიო აღმშენებლობით ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობა; დიდ იუბილარს (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დაბადებიდან 85 და კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების 40 წელი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წელი) ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის (III-VII ს.ს.) მრავალათასიან წევრთა სურვილითა და დავალებით, როგორც დედააკადემიის საპატიო პრეზიდენტს და აკადემიის ფუნქციონირების აღმდგენს 1996 წლიდან, საპატრიარქოში მიღებისას საჩუქრად გადავეცი ხატი „ქებაჲ და დიდებაჲ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამისა“, ავტორი – ხატმწერი მამუკა გრიგოლია. უწმინდესმა და უნეტარესმა მისთვის ჩვეული გულითადობით დაგვლოცა და მოგვცა კურთხევა, ეს წმინდა ხატი დაგვებრძანებინა სწორედ წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში შემოწირულობის სახით, სადაც ის ბერად აღიკვეცა. დავალება იმავე დღეს შესრულდა ამ ტაძრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ბიძინა გუნიას დახმარებით...

დიდება უფალს ამ სასწაულისთვის. მართლაცდა ობოლი კაცის ცხოვრება სწორედ მაღალი ღმერთის, უფალ იესო ქრისტეს განგებითა და წყალობით, აღმავალია.

„უფალო შენ ყოველი უწყი და ყოველი იცი, რამეთუ მიყვარხარ შენ! ამინ, არ დამეკარგოს გულიდან მე ღმერთის სამსახურია“.

უღრმესი პატივისცემითა და სამადლობელით,
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი
ნუგზარ ნადარაია

ᲕᲘᲐᲩᲔᲡᲚᲐᲕ ᲩᲘᲠᲘᲙᲑᲐ: ᲬᲝᲜᲐᲓᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲟᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ ᲩᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ!

ᲟᲔᲜᲔᲕᲘᲡ საერთაშორისო დისკუსიები მათ მონაწილეებს რაიმე სერიოზული მოლოდინებით იმთავითვე არ ანებივრებდა, თუმცა აფხაზეთისთვის ამ ფორმატში მონაწილეობა მაინც ძალზე მნიშვნელოვანია. აი, ჟენევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ჩასვლა კი, თუ ის რაიმე ხელშესახებ, მართლაც წონად პოლიტიკურ ინიციატივებს არ ჩაიტანს, პრაქტიკულ აზრს არის მოკლებული, — განუცხადა „Эхо Кавказа“-ს აფხაზური საგარეო პოლიტიკური უწყების ყოფილმა დე ფაქტო ხელმძღვანელმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ. „აქცენტი“ მასთან ინტერვიუდან რიგი ამონარიდების ქართულ თარგმანს გთავაზობთ.

— რა ძირითადი საგარეო პოლიტიკური პრობლემების წინაშე დგას სადღეისოდ აფხაზეთი?

— მთლიანობაში, უმთავრესი საგარეო პოლიტიკური ამოცანების ჩამონათვალი უცვლელია. ესაა რუსეთთან სტრატეგიული კავშირი, მეგობრულ ქვეყნებთან კავშირების გამყარება, მუშაობა აფხაზეთის საერთაშორისო აღიარებისთვის, აფხაზეთის რესპუბლიკის კონტაქტების გაფართოება, დიალოგი გაეროსთან, ეუთოსთან, ევროკავშირთან, მათ შორის — ჟენევის დისკუსიების ფარგლებში, ასევე, რა თქმა უნდა, მოლაპარაკებები საქართველოსთან, რომელიც აფხაზეთის მთავარ საგარეო პოლიტიკურ ოპონენტად რჩება და, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მასთან ჟენევის ფორმატის ფარგლებში დიალოგი გაგრძელდეს.

— სადღეისოდ ჟენევის დისკუსიები ჩიხში შევიდა. როგორ ფიქრობთ, არსებობს მონაწილეთა რანგის ამაღლების შესაძლებლობა? მაგალითად, საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გამოვიდა ინიციატივით მოლაპარაკებათა მონაწილეების დონის ამაღლების შესახებ და მეტიც, ამ დისკუსიებში ჩართვა არ გამორიცხა. რა დგას, თქვენი აზრით, ამ წინადადების უკან და რა რეაგირება უნდა მოახდინოს მასზე აფხაზეთმა?

— ჟენევის დისკუსიებში დასაწყისიდან — 2008 წლიდან ვმონაწილეობდი და მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ეს ფორმატი იმთავითვე არ ანებივრებდა მონაწილეებს გარღვევებით. კრიზისი სახეზეა, რადგან მხარეთა პოზიციები ერთმანეთისგან მეტისმეტად შორსაა. კერძოდ, საქართველო კვლავინდებურად უარს აცხადებს, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ძალის არგამოყენების შესახებ უმნიშვნელოვანესი შეთანხმება გააფორმოს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. ჯერჯერობით ჩვენ ერთ ადგილზე ბოლთის ცემას ვაგრძელებთ. სწორედ ამიტომ გვაქვს სახეზე პოლიტიკურ ფრონტზე ესოდენ გაჭიანურებული კრიზისი. გადავწყვიტეთ, ჟენევაში ჩვენი ურთიერთობების ჰუმანიტარული ასპექტებით დავკავებულიყავით. კერძოდ, ესაა დახმარება ქართულ-აფხაზური ომის დროს დაღუპულთა ნეშტების ძიებაში, იდენტიფიცირებასა და ნათესავებისთვის გადაცემაში; აფხაზეთში საარქივო მასალების დაბრუნება, ეკოლოგიის პრობლემები და სხვა საკითხები. და, სხვათა შორის, ჰუმანიტარული კალათის ფარგლებში ჟენევაში მუშაობა საკმაოდ პროდუქტიულად, იმ ზედმეტი პოლიტიზირების გარეშე მიმდინარეობს, რომელიც ყოველთვის ყველაფერს ხელს უშლის. და მაინც, უსაფრთხოების კუთხით ძვრების გარეშე, ვფიქრობ, ჟენევის დისკუსიებისა და ზოგადად ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პერსპექტივები საკმაოდ პრობლემურია. აუცილებელია, ვისწრაფვოდეთ თანხმობის მიღწევისკენ ჩვენი ურთიერთობების პოლიტიკურ ასპექტებშიც. ვფიქრობ, ჯერჯერობით ჟენევის დისკუსიებს ალტერნატივა არა აქვს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი დიალოგია.

რაც შეეხება ჟენევის ფორმატში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მონაწილეობის განზრახვას, ვფიქრობ, ამას აზრი ექნებოდა, თუ ის ჟენევაში ურთიერთობების ნორმალიზებისკენ მიმართული რაღაც წონადი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმისთვის მზაობით ჩამოვიდოდა. ეს, უპირველესად, ეხება შეთანხმებებს ძალის სავალდებულო არგამოყენების შესახებ. მსგავსი მნიშვნელოვანი ინიციატივების გარეშე ჟენევაში ვიზიტს, ჩემი აზრით, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნება.

— მოდით, აღიარების პროცესზე ვისაუბროთ. თქვენი მინისტრობის პერიოდში აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი, შეიძლება, ითქვას, შეჩერდა, თუმცა ვითარება ვერც შემდგომმა მინისტრებმა შეცვალეს. რამდენად არის, თქვენი აზრით, საერთოდ შესაძლებელი ვითარების კარდინალურად შეცვლა არსებულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში?

— ეს ძალზე რთული და კომპლექსური პრობლემაა, რომელიც დიდ, დაუღალავ ძალისხმევას მოითხოვს, მათ შორის — პირდაპირ და რეგულარულ კონტაქტს პოლიტიკოსებთან, პარლამენტარებთან, სხვადასხვა ქვეყნების სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან. აქ აუცილებელია მჭიდრო ურთიერთქმედება რუსეთის ფედერაციასთან, მის საგარეო პოლიტიკურ უწყებასთან, სხვა ქვეყნებთან. აუცილებელია დიდი საინფორმაციო პროგრამა აფხაზეთის შესახებ მსოფლიო საზოგადოებრიობის ინფორმირებისთვის. ჯერჯერობით ცუდად გვიცნობენ. ძალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა აფხაზეთის ოფისის გახსნა ბრიუსელში — ევროკავშირის დედაქალაქში, ნიუ-იორკში, გაეროს სათავო ოფისში. ბუნებრივია, ეს ყველაფერი საკმარის დაფინანსებას მოითხოვს, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ არ გვაქვს.

მეორე მხრივ, საქართველო, რა თქმა უნდა, მანიაკალური ყურადღებით ადევნებს თვალს ჩვენს საერთაშორისო კონტაქტებს, მათ შორის — განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით და ცდილობს, ისინი ნულამდე დაიყვანოს. ამის სულ ცინცხალი მაგალითია ვითარება, რომელიც შოტლანდიურ კილმანროკში — სოხუმთან დაძმობილებულ ქალაქში ქართულ-აფხაზური ომის მსხვერპლთა მემორიალის ირგვლივ შეიქმნა. ლონდონში საქართველოს ამჟამინდელი ელჩის ძალისხმევით, რომელმაც, როგორც ჩანს, დიპლომატიური ბატალიების გარეშე მოიწყინა, გადაწყვიტა, ამ ქალაქის ხელმძღვანელობისთვის თავს მოეხვიათ გადაწყვეტილება მემორიალის აღების თაობაზე. საბედნიეროდ, ეს ძალისხმევა გაბათილდა, კილმანროკის ხელმძღვანელობა შანტაჟს არ დაემორჩილა და მემორიალი პირვანდელი სახით აღადგინა.

ჩვენს საკითხს რომ დავუბრუნდეთ, რეალურად, მსოფლიოში ბევრი ქვეყანაა, რომელიც მზადაა, აფხაზეთი აღიაროს. ამაში დავრწმუნდი, როდესაც მინისტრის რანგში ურთიერთობა მქონდა ჩემს კოლეგებთან, ელჩებთან და სხვადასხვა სახელმწიფოების პირველ პირებთან. მიუხედავად ამისა, აქ ჯერჯერობით საქართველოს პოზიციების სადარაჯოზე არიან აშშ და ევროკავშირი, რომლებიც სერიოზული სანქციებით იმუქრებიან ამა თუ იმ ქვეყნების მიერ აფხაზეთის აღიარების შემთხვევაში. მაგალითად, ევროკავშირმა გაუყინა საკმაოდ სოლიდური ჰუმანიტარული დახმარება ტუვალუს იმის გამო, რომ მას აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აქვს აღიარებული. ამგვარად, აქ ფსონები საკმაოდ მაღალია და რისკებიც დიდია ქვეყნებისთვის, რომლებსაც აფხაზეთის აღიარება შეუძლიათ. ეს გასაგებია. ეს არ ნიშნავს, რომ აღიარების პროცესი დასრულდა, ის გაგრძელდება, თუმცა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად გართულდა. სხვათა შორის, დაუღალავად განვუმარტავთ ჩვენს ქართველ კოლეგებსა და პარტნიორებს მოლაპარაკებებზე, რომ აფხაზეთის აღიარება თავად საქართველოს ინტერესებშია, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ნორმალიზების პროცესის დაწყება. თუმცა ინერციისა და საკუთარი პროპაგანდის ძალები ჯერჯერობით საღ აზრს ჯაბნის. რას ვიზამთ? ჩვენ მზად ვართ, დაველოდოთ.

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲐᲘᲙᲠᲫᲐᲚᲐ

ირანმა სახელმწიფო და კერძო სკოლების დაწყებით კლასებში ინგლისური ენის სწავლება აკრძალეს. ირანის უმაღლესი ლიდერის აიათოლა ალი ჰამენეის განმარტებით, ინგლისური ენის ნაადრევმა სწავლებამ ქვეყანაში დასავლური კულტურის შეჭრას შეუწყო ხელი, რაც ირანულ ტრადიციებს ეწინააღმდეგება.

ვარაუდობენ, რომ თეირანის გადაწყვეტილება ქვეყანაში დაწყებულ მასშტაბური საპროტესტო აქციებს უკავშირდება, რომლის ორგანიზებაშიც ირანის ხელისუფლება დასავლეთს ადანასაულებს.

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲐᲨᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲔᲡ

ესპანეთში სამაშველო ოპერაცია დასრულდა. მაშველებმა ცენტრალურ მაგისტრალებზე უამინდობის გამო ჩარჩენილი ასობით ადამიანი იხსნეს. ესპანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ბოლო 2 დღის განმავლობაში დიდთოვლობის გამო გზებზე ავტომანქანებში ღამე 3 ათასზე მეტმა ადამიანმა გაატარა. ყველაზე მძიმე ვითარება მადრიდი-სეგოვიას დამაკავშირებელ გზაზე იყო, სადაც მოძრაობა მთლიანად იყო პარალიზებული.

ᲝᲠᲑᲐᲜᲘ: „ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲘ ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ“

უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ევროპაში ჩასული ლტოლვილები სინამდვილეში მუსლიმი დამპყრობლები არიან და უნგრეთი მომავალში მიგრანტების მიღებას არ აპირებს. „ჩვენ არ მივიჩნევთ ამ ხალხს მუსლიმ ლტოლვილებად. ჩვენ მათ დამპყრობლებად მივიჩნევთ. ჩვენ არ ვაპირებთ მათ მიღებას და მოვუწოდებთ ევროკავშირს, ჩვენს გადაწყვეტილებას პატივი სცეს“, — აღნიშნა ორბანმა.

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲒᲚᲝᲑᲣᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲒᲘᲚᲘᲔᲠᲛᲝ ᲓᲔᲚ ᲢᲝᲠᲝ ᲒᲐᲮᲓᲐ

2018 წლის ოქროს გლობუსის მფლობელის ვინაობა უკვე ცნობილია. საუკეთესო რეჟისურისთვის ჯილდო გილიერმო დელ ტორომ აიღო, ფილმისთვის „წყლის ფორმა“. საუკეთესო ფილმის ნომინაციაში კი გამარჯვებული „სამი ბილბორდი ებინგის საზღვარზე“ გახდა. მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის ჯილდო უინსტონ ჩერჩილის განსახიერებისთვის გარი ოლდმანს ერგო. ქალთა შორის კი ამავე ნომინაციაში ოქროს გლობუსი ფრენსის მაკდორმანდს გადაცეს ფოლმში „სამი ბილბორდი ებინგის საზღვარზე“ შესრულებული როლისთვის. ორიგინალური სცენარისთვის სურათი „წყლის ფორმა“ დაჯილდოვდა. წლის საუკეთესო სერიალად „მოსამსახურის ნაამბობი“ აღიარეს.

ᲞᲐᲞᲣᲐ-ᲐᲮᲐᲚ ᲒᲕᲘᲜᲔᲐᲨᲘ ᲕᲣᲚᲙᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲘᲚᲕᲘᲫᲐ

კადოვარის კრატერიდან ვულკანური ფერფლი იფრქვევა. ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სტიქიის ზონიდან მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო. სახიფათო ტერიტორიიდან უკვე გაიყვანეს 500-მდე ადამიანი. ისინი დროებით თავშესაფრებში იმყოფებიან.

ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲯᲔᲙ�პᲝᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲐ

ორ მთავარ ამერიკულ ლატარეაში ჯეკპოტები ერთდროულად გათამაშდა. მოგებული თანხის რაოდენობა მილიარდ დოლარს აღემატება. „ფაუერბოლის“ გამარჯვებულმა 560 მილიონი დოლარი მოიგო. ჯეკპოტი გათამაშდა ლატარეა „მეგა მილიონშიც“. გამარჯვებული 450 მილიონი დოლარის მფლობელი გახდა.

„ქართული სასაკლაოები სანიტარიულ სტანდარტებს აკმაყოფილებენ“

„მაღალმთიან რეგიონებში მეცხოველეობის ხელშეწყობის პროგრამა სულადობას და მწარმოებლურობას გაზრდის“, — ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ლევან დავითაშვილმა** რადიო **„კომერსანტის“** ეთერში ისაუბრა.

როგორც მან გასული წლის შეჯამებისას აღნიშნა, სოფლის მეურნეობაში რამდენიმე მიმართულებით საკმაოდ საინტერესო შედეგები დაიდო.

„ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო მაღალმთიან რეგიონებში მეცხოველეობის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება. დაახლოებით 40 კოოპერატივი ჩამოყალიბდა. ჩვენ ფერმერებს საშუალებას ვაძლევთ, რომ მოახერხონ ზამთრისთვის საკვების დამზადება და საკვებისთვის ტექნიკას ვაძლევთ. ამავე დროს, ასეთ კოოპერატივებს შესაძლებლობა ეძლევათ, ჩაერთონ რძის გადამამუშავებელი კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამაში, რძის გადამუშავება და ყველის წარმოება თვითონ მოახდინონ. ეს ხელს შეუწყობს სათიბ-საძოვრების რაციონალურ გამოყენებას. მეორე მხრივ კი სულადობას და მწარმოებლურობას გაზრდის“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

მისივე თქმით, მეცხვარეობის მიმართულებაში გასულ წელს დადებითი ცვლილება იყო ის, რომ დაკლული ცხვრის ექსპორტი გაიზარდა, რამაც ქვეყნის ეკონომიკაში დამატებით ღირებულება დატოვა. **„კარგი შედეგები გვქონდა მეცხვარეობის მიმართულებით. ექსპორტში დიდი ზრდა გვაქვს, გაჩნდა ახალი ბაზრები სპარსეთის ყურის ქვეყნებში. მათ შორის ქართული ცხვარი ირანში დიდი რაოდენობით გადის. აქამდე ექსპორტზე მხოლოდ ცოცხალი პირუტყვი გადიოდა. ახლა დაკლული ხორცის ექსპორტი დაიწყო, ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში დამატებითი ღირებულების დატოვება დაიწყო, გადამუშავება ადგილზე ხდება. ასევე, ქართული სასაკლაოები სანიტარიულ სტანდარტებს იმ დონეზე აკმაყოფილებენ, რომ ისინი დაშვებული არიან საექსპორტო ბაზრებზე. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია“,** — აღნიშნავს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.

2017 წელს საქართველოში აივ-შიდსის 596 ახალი შემთხვევა გამოვლინდა

2017 წლის დეკემბრის მონაცემებით, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში რეგისტრირებულია აივ/შიდსის 6727 შემთხვევა, აქედან 5027 მამაკაცია, 1700 კი ქალი.

აღსანიშნავია, რომ პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 40 წლამდეა, მათგან შიდსი განუვითარდა 3652 პაციენტს ხოლო 1351 გარდაიცვალა.

რაც შეეხება ახალ შემთხვევებს, სულ AIDS სუტეუკის ცნობით 2017 წელს აივ-ით ინფიცირების 596 ახალი

შემთხვევა გამოვლინდა. აივ ინფიცირებულთა განაწილება გადაცემის გზების მიხედვით.

„მართალია, მსოფლიო სტატისტიკით საქართველო მიეკუთვნება აივ ინფექცია/შიდსის დაბალი პრევალენტობის ქვეყნებს და, რაც კიდევ უფრო საინტერესოა, ამ ქვეყნებს შორისაც ერთ-ერთი ყველაზე ბოლო ადგილი უკავია, მაგრამ, მეორე მხრივ, შიდსის ეპიდემიის კანონზომიერებიდან გამომდინარე, აივ/ინფიცირებულების სავარაუდო რიცხვი საქართველოში 7000-ს უტოლდება. ეს კი ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, უკვე საკმაოდ სოლიდური რიცხვია“, — განმარტავენ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში.

პაატა ბურჭულაძე დარწმუნებულია, რომ ფონდ „იავნანაში“ დარღვევები არ არსებობს!..

„პაატა ბურჭულაძე ჩვენებას აუცილებლად სასამართლოში მისცემს, რადგან ფიქრობს, რომ ფონდ „იავნანასთან“ დაკავშირებული პროცესები, ასე უფრო გამჭვირვალედ წარიმართება“, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ ბურჭულაძის ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა.

ბურჭულაძე სასამართლოში გუშინ უნდა დაკითხულიყო, თუმცა, გამომძიებლის შვებულებაში ყოფნის გამო, პროცესი თებერვლის შუა რიცხვებამდე გადაიდო. ადვოკატის განმარტებით, თუ რა სახის ინფორმაციას მიაწვდის სასამართლოს დაკითხვაზე დაბარებული ბურჭულაძე, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კითხვები ექნებათ მასთან.

„ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შეკითხვებს დაუსვამენ. ალბათ, შეკითხვები ფონდ „იავნანას“ შეეხება. არავითარი ბრალდება არ არსებობს, საქმე ჯერ ძიების პროცესშია. ბურჭულაძე დარწმუნებულია, რომ ფონდ „იავნანაში“ დარღვევები არ არსებობს. ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები მოიპოვება.

შეგახსენებთ, რომ მთავარმა პროკურატურამ, ფონდ „იავნანას“ ხელმძღვანელი პირების მიერ დიდი ოდენობით თანხების შესაძლო მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე გამოძიება 20 სექტემბერს დაიწყო.

ოთარ აბესაძეს დახურული სივრცის შიში გამწვავებულ ფაზაში აქვს!

თბილისის **საქალაქო სასამართლოში მერიის ყოფილი მაღალჩინოსნის ოთარ აბესაძის სასამართლო პროცესი გაიმართა.** გუშინ ბრალდების მხარის ორი მოწმე დაიკითხა. ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ენს“ აბესაძის ადვოკატმა ნონა ფილაურმა განუცხადა.

„ორი მოწმე დაიკითხა, ისინი მერიის სასამსხურის სპეციალისტები არიან. სწორედ მათ მიიღეს ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით განცხადება. აბესაძეს სწორედ ამ ნებართვის გაცემის გამო ედავებიან თანხის აღებას. ამ პეციალისტებმა განაცხადეს რომ მათთან კომუნიკიაციაში არც ოთარ აბესაძე და არც სხვა ვინმე შესულა, რომ ამ განცხადებასთან დაკავშირებით, დადებითი პასუხი გაეცათ. არსად არ იკვეთება, რომ დოკუმენტი ქრთამის სანაცვლოდ მომზადდა. საქმე რასთან გვაქვს, ვერ გავიგე“, — განაცხადა ფილაურმა. როგორც ის აღნიშნავს, აბესაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდება.

„დახურული სივრცის შიში ისევ აქვს, ეს გამწვავებულ ფაზაშია შესული. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის ყოველდღიური გაუარესება მიმდინარეობს, თუმცა, ეს მოსამართლეს პოზიციას არ აცვლევინებს. მართლმსაჯულების აღსრულებას აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის შეცვლა ხელს არ უშლის. ოთარ აბესაძე გლდანის მე-8 დაწესებულებიდან ივლის სასამართლოში, თუ სახლიდან, მნიშვნელობა ხომ არა აქვს. მოსამართლის განმარტება, თითქოს ის მოწმეებზე ზეწოლას მოახდენს, სიმართლეს არ შეესაბამება. ამის პრეცედენტი უნდა არსებობდეს, რომ აბესაძემ ვინმეს დაურეკა, ან ვინმეს ოჯახის წევრი მიუგზავნა“, — განაცხადა ადვოკატმა.

საბაჟო საწყობებში წლობით გაჩერებული საქონლის პრობლემის მოგვარებისთვის საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა

საქართველოს **საგადასახადო კოდექსში ბიზნესის წარმომადგენელთა მოთხოვნის გათვალისწინებით შესულია ცვლილებები, რომლის მიხედვით, საქონლის საბაჟო საწყობში დროებით შენახვის ვადა ნაცვლად 5 კალენდარული წლისა განისაზღვრა 180 კალენდარულ დღემდე, ხოლო საწყობის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის მოქცევის ვადა, ნაცვლად განუსაზღვრელი პერიოდისა, განისაზღვრა 2 კალენდარული წლით.**

აღნიშნული ცვლილება საშუალებას იძლევა გადაწყდეს წლობით არსებული (მათ შორის, ვადაგასული ან გაფუჭებული) საქონლისაგან საბაჟო საწყობების გათავისუფლებისა და შენახვის ადგილების მოცდენის პრობლემა. ცვლილება ამოქმედებულია 2017 წლის 14 ივლისიდან, თუმცა იმ საქონელზე, რომელიც საბაჟო საწყობში დროებით შენახული იყო აღნიშნული ცვლილების ამოქმედებამდე, დროებით შენახვის 180 დღიანი ვადის ათვლა 2018 წლის პირველი იანვრიდან დაიწყო. ამ შემთხვევაში, საუბარია საბაჟო საწყობებში წლობით მიტოვებულ საქონელზე, რომელიც პრობლემებს უქმნიდა როგორც საწყობის მფლობელებს, ასევე საგადასახადო ორგანოებს, რადგან შეუძლებელი ხდებოდა ასეთი საქონლის განკარგვა, რადგან საწყობის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის შენახვა იყო უვადო, ხოლო დროებით შენახვა — 5-წლიანი.

ამ ცვლილებით შემცირდა დროებით შენახვის ზღვრული ვადა, მაგრამ ასევე, განისაზღვრა მისი იმავე ვადით (180 დღე) გაგრძელების შესაძლებლობაც. საწყობის სასაქონლო ოპერაციაში შენახვის ვადა კი, ფაქტიურად, არ შეზღუდულა, რადგან დადგენილი 2-წლიანი ვადა დეკლარანტმა შეიძლება გააგრძელოს შეუზღუდავი რაოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ეს პირობები არ შესრულდა, მოხდება საქონლის განკარგვა დადგენილი წესით.

მორაგბეების პროტესტი: თავდაცვის სამინისტრო სარაგბო კლუბ „არმიას“ აღარ დააფინანსებს!

სარაგბო **კლუბ „არმიას“ მორაგბეებმა გუშინ თავდაცვის სამინისტროსთან აქცია გამართეს, რისი მიზეზი ის იყო, რომ სამინისტრო კლუბს აღარ დააფინანსებს და, შესაბამისად, საქართველოს ჩემპიონატს იგი შუა სეზონში გამოეთიშება.** მორაგბეები დაფინანსების გაგრძელებასა და კონტრაქტის მაისამდე გაგრძელებას ითხოვდნენ. მათივე თქმით, ისინი გუნდის გარეშე რჩებიან, რადგან ტრანსფერის ეტაპი დასრულებულია, რის გამოც მორაგბეების თქმით, 30 სპორტსმენი ჩემპიონატში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს. მათ მინისტრთან შეხვედრა მოითხოვეს, თუმცა არავინ შეხვედრიათ.

„არმიას“ პრეზიდენტი ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ კონტრაქტის შეჩერებასთან დაკავშირებით ისინი საქმის კურში არავის ჩაუყენებია: **„ჩვენთვის არაფერი ცნობილი არ იყო ამდაგვარი. კონტრაქტი დადებული რომ იყო, მერე დაიწყო ამ გუნდის არა დაფინანსებაზე, არამედ სხვა უწყებაზე გადაცემაზე საუბარი“,** — განაცხადა ზოდიკო ფარქოსაძემ.

არადა, თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წლის მაისში კლუბის ხელმძღვანელობას ოფიციალურად აცნობეს, რომ გუნდს დაფინანსება შეუწყდებოდა. უწყების განცხადებაში აღნიშნულია, რომ თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტში აღარ შედის სხვადასხვა სპორტული კლუბების დაფინანსება. „მოგახსენებთ, რომ ეროვნული თავდაცვის აკადემიის ა(ა)იპ „სპორტული კლუბი არმიას“ ხელმძღვანელობა, ჯერ კიდევ 2017 წლის 5 მაისიდან ინფორმირებული იყო, რომ 2018 წლიდან დაფინანსება შეუწყდებოდა. საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიამ აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მას ოფიციალურად აცნობა.

შესაბამისად, განცხადებები იმის შესახებ, რომ კლუბის ხელმძღვანელობას ინფორმაცია არ ჰქონდა, სიმართლეს არ შეესაბამება. 2017 წლის განმავლობაში ეროვნული თავდაცვის აკადემიის ფინანსების მართვის სამმართველოს არაერთხელ ჰქონდა კომუნიკაცია „არმიას“ ფინანსისტთან, ქალბატონ ნინო ზედგენიძესთან, სადაც მას ყოველივე ზემოაღნიშნული დეტალურად განემარტა. აღნიშნული ფაქტი ასევე ცნობილი იყო „არმიას“ პრეზიდენტის, ბატონი ზოდიკო ფარქოსაძისთვის.

სარაგბო კლუბ „არმიის“ წლიური დაფინანსება 400 ათას ლარს შეადგენს.

◎ ლეგიონერი

მათიაშვილის ჩინებული დებიუტი

საქართველოს ნაკრების უკანახაზელს სოსო მათიაშვილს „კრასნი იარის“ შემადგენლობაში მშვენიერი დებიუტი გამოუვიდა. ციმბირული კლუბი „ლონდონ აირიშთან“ გასამართი ჩელენჯ ქაფის შეხვედრებისთვის ემზადება და ტესტ-მატჩში ფრანგულ „რუანს“ დაუპირისპირდა, რომელიც ფედერალ 1-ში ასპარეზობს. ბრძოლა ნორმანდიელთა გამარჯვებით — 40:26 დასრულდა.

მათიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და როგორც რუსული კლუბის ოფიციალური ვებგვერდი წერს, შესანიშნავად ითამაშა. სოსომ თავის გამოჩენა ერთი გატანილი ლელოთი და სამი გარდასახვით მოახერხა.

შეხვედრა ფრანგული კლუბის უპირატესობით დაიწყო და მალე ორი გარდასახული ლელოს გატანა შეძლო, რასაც რუსებმა ორი ლელოთი უპასუხეს, რომელთაგან ერთის რეალიზაცია მათიაშვილმა მოახერხა, ხოლო მეორე ურთულესი გარდასახვა ააცილა.

სოსოს გარდა, ძირითად შემადგენლობაში იყვნენ გიორგი ფრუიძე და რუსეთის მოქალაქე ვალერი ცნობილაძე, ხოლო მეორე ტაიმში თამაშში მიხეილ წიკლაური, ლაშა მალაღურაძე და ასევე რუსეთის მოქალაქე გრიგოლ ცნობილაძე ჩაერთნენ.

შეგახსენებთ, რომ „კრასნი იარს“ ჩელენჯ ქაფზე ორი შეხვედრა აქვს დარჩენილი. 13 იანვარს რედინგში „ლონდონ აირიშს“ დაუპირისპირდება, ერთ კვირაში კი მას თბილისში, ავჭალის სტადიონზე დაუხვდება.

კობა კობახიძე

◎ თაობა

სწავლის ძირი მწარე არი...

სანდრო მამუკელაშვილის „სეტონ ჰოლმა“ „ბატლერ ბულდოგსი“ სტუმრად დაძაბულ ბრძოლაში 90:87 დაამარცხა და 3-დან 3 მოგებით „ბიგ ისთის“ კონფერენციაში 1998-99 წლების სეზონის შემდეგ პირველად გალიდერდა. „სეტონ ჰოლ პირატსი“ ჩინებულ სეზონს ატარებს და სტუდენტური ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი კონფერენციის მოგების უმთავრესი კანდიდატია.

აღნიშნულ კონფერენციაში ასპარეზობს სტუდენტური ლიგის მრავალგზისა და მათ შორის 2016 წლის ჩემპიონი „ვილანოვა“, რომელსაც „ბიგ ისთის“ კონფერენციაში 3 მატჩიდან 1 წაგება აქვს და ისიც „ბატლერთან“, რომელიც გუშინ მამუკელაშვილის გუნდმა დაამარცხა.

მართალია, ქართველმა ლეგიონერმა მხოლოდ 1 წუთი ითამაშა და სტატისტიკური მონაგარი არ ჰქონია, თუმცა ამ გუნდში ყოფნა ქართველი კალათბურთელის სამომავლო კარიერისთვის უმნიშვნელოვანესია. სანდრო 18 წლისაა, ხოლო „სეტონ ჰოლის“ ლიდერები 21-22 წლის ჩამოყალიბებული კალათბურთელები არიან, რომლებიც ამ სეზონის ბოლოს უნივერსიტეტთან ერთად, სტუდენტურ ლიგაში ასპარეზობასაც დაასრულებენ და გზას მომდევნო თაობებს გაუხსნიან.

მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე „მეკობრეები“ 54:65 აგებდნენ „ბულდოგებთან“, მაგრამ ხადინ კარინგტონის (29 ქულა), ეინჯელ დელგადოსა (28 ქულა) და დეიზი როდრიგესის (19) შედეგიანობით მასპინძლებს ბოლო წუთებზე გამარჯვება ხელიდან გამოგლიჯეს.

10-გუნდიან „ბიგ ისთის“ კონფერენციას 3-დან 3 მოგებით „სეტონ ჰოლ პირატსი“ ლიდერობს. 3 მოგება და 1 მარცხი აქვთ „ქსავიერს“ და „კრეიტონს“. მომდევნო მატჩს მამუკელაშვილის გუნდი ხვალ სტუმრად „მარკეტთან“ (2 მოგება, 2 მარცხი) ჩაატარებს.

შეგახსენებთ, რომ კონფერენციის რეგულარული ჩემპიონატი 2 წრედ ტარდება, რის შემდეგაც საუკეთესო 8 გუნდი პლეი-ოფში დაწყვილდება, ანუ თითოეული გუნდი რეგულარულში ითამაშებს 18 მატჩს, ყოველ მეტოქესთან შინ და სტუმრად. რეგულარული ჩემპიონატის მომგები გუნდი პლეი-ოფში მერვეადგილოსანს შეხვდება, მეორე — მეშვიდეს, მესამე — მეექვსეს და მეოთხე — მეხუთეს. პლეი-ოფის მატჩები ერთ ქალაქში გაიმართება და თითოეული რაუნდი ერთმატჩიანი იქნება. კონფერენციის გამარჯვებული, ასევე იმ მომენტისთვის რეიტინგში მაღალ პოზიციებზე მყოფი გუნდები გადაინაცვლებენ „მარტის სიგიჟედ“ წოდებულ ფინალურ ჩემპიონატში, რომელშიც მთელი სტუდენტური ლიგის საუკეთესო 64 გუნდი იასპარეზებს და სადაც მხოლოდ ერთმატჩიანი საპლეიოფო სერიები იქნება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ოლიმპიზმი

ასე დაამზადებენ მედლებს

ტოკიოს 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლებმა ელექტრომოწყობილობების გადამუშავებისა და შემდგომ მათი მედლებად ჩამოსხმის გეგმა შეიმუშავეს. მის თანახმად, გადამუშავებული მასალისგან დამზადებული მედლები გადაეცემა ყველა იმ სპორტსმენს, რომელიც 2020 წლის ოლიმპიურ და პარალიმპიურ თამაშებზე საპატიო კვარცხლბეკზე ასვლას დაიმსახურებს.

ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ 8 ტონა ლითონს, მათ შორის, 40 კილოგრამ ოქროს, 4 290 კილოგრამ ვერცხლსა და 2 944 კილოგრამ ბრინჯაოს შეაგროვებენ.

ტოკიო-2020-ის ორგანიზატორთა წამოწყებას მხარი დაუჭირა ქვეყნის მუნიციპალიტეტების 70-მა პროცენტმა.

იაპონელთა წამოწყებას საკუთარი მობილური ტელეფონი შესწირა ზიმბაბველმა მოცურავემ, სოკ-ის საკოორდინაციო კომისიის წევრმა კირსტი კოვენთრიმ. ტოკიოში ვიზიტისას იგივე გაკეთა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ჯონსონმაც.

საინტერესოა, რომ თავდაპირველად ელექტროტექნიკის — მაცივრების, მიკროტალღური ქურების, კომპიუტერებისა და მობილურების მედლებად გადამუშავების პრაქტიკას 2016 წლის ოლიმპიური თამაშების ლონდონელმა მასპინძლებმა მიმართეს.

გეჭან დოლიძე

◎ ტრანსფერის შემდეგ

ვარსკვლავური სამკუთხედი



„ბარსელონას“ ყოფილმა ვარსკვლავმა მიქაელ ლაუდრუპმა კოუტინიოს შესახებ ისაუბრა. დანიელი მიიჩნევს, რომ ბრაზილიელი და ანდრეს ინიესტა ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან.

„ზოგადად, ეჭვი მეპარება, რომ კატალონიელი ვინმემ სრულფასოვნად შეცვალოს. ისე, სამხრეთამერიკელი უფრო შემტევი სტილის ფეხბურთელია, ვიდრე ინიესტა. თავის დროზე ანდრესიც წინ მიიწევდა და ზოგჯერ თავდამსხმელად გვევლინებოდა, ასაკის მატებასთან ერთად კი უკან ჩამოიწია და ტიპური ნახევარმცველი გახდა. კოუტინიოს ნეიმარის პოზიციაზე ვხედავ. ვფიქრობ, „ბლაუგრანას“ ახალწვეული „ბარსაში“ ბრწყინვალედ ითამაშებს“. შეგახსენებთ, რომ 30-ე ბრაზილიელი „ნოუ კამპის“ ბინადრებმა 160 მილიონ ევროდ შეიძინეს „ლივერპულისგან“.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

სერენამ - ჯერ არაო



სერენა უილიამსი ავსტრალიის ღია პირველობაზე არ იასპარეზებს. აღნიშნულ ინფორმაციას თავად ჩოგბურთელი ავრცელებს.

„შემიძლია, კორტზე გამოვიდე და ვითამაშო, მაგრამ ეს უბრალოდ მონაწილეობა იქნება, მე კი უფრო მეტი მინდა. კიდევ ცოტა დრო მჭირდება, რომ კარგად მოვემზადო“, — განაცხადა სერენამ.

მოგეხსენებათ, მას რამდენიმე თვის წინათ გოგონა ეყოლა და, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ ჩადგა ფორმაში.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჯანმრთელობა

წნევა რომ მუდამ ნორმაში გქონდეთ

მაღალი არტერიული წნევის მქონეთა რიცხვი ბოლო 40 წლის მანძილზე მსოფლიოში 40 პროცენტით გაიზარდა და 600 მილიონიდან 1,1 მილიარდ კაცამდე ავიდა. სწორედ ამიტომაცაა, რომ წნევის საზომი ხელსაწყო – ტონომეტრი, ყველა ოჯახში უნდა იყოს. ამასთან, უნდა ითქვას, რომ წნევასთან დაკავშირებით სხვადასხვა საკითხი წარმოიშვება, რომლებზე პასუხის გაცემა სპეციალისტებს ვთხოვეთ.

თავდაპირველად მკითხველს გვინდა შევახსენოთ, რომ საყოველთაოდაა ცნობილი: ნორმალური არტერიული წნევაა სინდიყის სვეტის 120 მილიმეტრის 80 მილიმეტრზე (120/80) თანაფარდობა. ამასთან, ბევრნი თავს ჩინებულად გრძნობენ წნევის გაცილებით მაღალი, ანდა პირიქით, დაბალი მაჩვენებლების დროსაც. ამიტომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ არტერიული წნევის ასეთი ნორმები შემოიღო:

– **ჰიპოტონია** (დაბალი არტერიული წნევა): 100/60-ზე დაბალი;

– **ოპტიმალური წნევა:** 100/119 60/79;

– **ნორმალური წნევა:** 120/129 80/84;

– **მაღალი არტერიული წნევა:** 130/139 84/89;

– **ზომიერი ჰიპერტონია** (აწეული): 140/150 90/99;

– **საშუალო სიმძიმის ჰიპერტონია:** 160/179 100/109;

– **მძიმე ჰიპერტონია:** 180/100-ზე ზევით.

აქედან გამომდინარე, მაღალ წნევად ითვლება 140-90-ზე, შინ გაზომვისას კი 135/85-ზე მაღალი მაჩვენებლები, მაგრამ არ შეიძლება მხოლოდ ამ მონაცემებზე დაყრდნობა სხვა ფაქტორების გაუთვალისწინებლად. მაგალითად ისეთის, თუ როგორი იყო წნევა თავდაპირველად, რადგან თითოეული ადამიანისთვის ოპტიმალური მნიშვნელობები განსხვავებულია, თუნდაც გარკვეულ სნეულებათა (ვთქვათ, შაქრიანი დიაბეტის) გამო. არსებობს მრავალი სხვა მიზეზიც, ამდენად ამ ციფრების გაანგარიშება მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია.

არტერიული ჰიპერტონიის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა აქვს გენეტიკას, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე ცხოვრების წესი. ამ დაავადების წარმოშობის რისკის ფაქტორებია დაბალი ფიზიკური აქტივობა, ჭარბი წონა, თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლიანი სასმელების მოხმარება, უძილობა, ხშირი სტრესები, მძიმე სამუშაო პირობები, ასევე არასწორი კვება (მარილის, შაქრის, ცხიმების ჭარბი მოხმარება, მაგნიუმის, კალიუმის, ომეგა-3 ცხიმებისა და პოლიგაჯერებული მჟავების უკმარისობა).

ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანს მარჯვენა და მარცხენა ხელზე განსხვავებული წნევა აქვს, რომელთა შორის განსხვავება 5-10 ნიშნულს აჭარბებს. ამ დროს წნევის გაზომვა იმ ხელზეა საჭირო, სადაც მაჩვენებელი უფრო მაღალია.

სხვათა შორის, ხშირია შეცდომები, რომლებსაც პაციენტები არტერიული წნევის გაზომვისას უშვებენ და რომლებიც ამ დროს უნდა გამოირიცხოს. კერძოდ:

– **წნევის გაზომვამდე** 30 წუთით ადრე მაგარი ჩაის ან ყავის მიღება, რაც 7-11 ნიშნულით ცდომილებას იწვევს;

– **თამბაქოს მოწევა** (ცდომილება 8-10 ნიშნული);

– **ზურგის საყრდენის უქონლობა** (ცდომილება 8-10 ნიშნული);

– **ზედმეტად მკვრივი მანჟეტი** (ცდომილება 8 ნიშნული);

– **მანჟეტში ჰაერის ხელმეორე ჩატუმბვა** (ცდომილება 10-20 ნიშნული);

– **ლაპარაკი გაზომვის დროს** (ცდომილება 13-17 ნიშნული);

– **ემოციური ან ფიზიკური დატვირთვის მიღებიდან ერთი საათის განმავლობაში გაზომვა** (ცდომილება 5-11 ნიშნული);

– **სავსე კუჭზე ან შარდის ბუშტზე გაზომვა** (ცდომილება 22-27 ნიშნული).

ზოგადად კი, წნევის მომატებაზე ადამიანები სხვადასხვანაირად რეაგირებენ. ბევრნი წნევის მატებას საერთოდ ვერ გრძნობენ, არადა **ახალგაზრდული ასაკი, სამწუხაროდ, ჰიპერტონიის არწარმოშობის არანაირ გარანტიას არ იძლევა.** მეტიც, ბოლო წლებში წნევის მატება არა თუ ახალგაზრდებში, არამედ ბავშვებშიც კი დგინდება! ამიტომაცაა, რომ **წნევის გამუდმებით გაზომვა ასაკის განურჩევლად ყველასთვისაა რეკომენდებული. უმჯობესია ამის გაკეთება ყოველდღე, ერთსა და იმავე დროს, ხუთწუთიანი მშვიდად ყოფნისა და საჭმლის მიღებიდან, თუნდაც ნახევარი საათის შემდეგ (ეს თუნდაც ფინჯანი ყავა იყოს). იგივეს თქმა შეიძლება სიგარეტის მოწევაზეც.**

წნევა დამჯდარმა, ან საჭიროების შემთხვევაში დაწოლილმა უნდა გაიზომოთ. ამ დროს ხელი მაგიდაზე უნდა გედოთ, ზურგი საზურგეზე უნდა გქონდეთ მიყუდებული, ფეხები არ გადააჯვარედინოთ, ნურც ილაპარაკებთ. პროცედურა არასამუშაო ხელზე უნდა ჩაიტაროთ, რისთვისაც სახელო აიწიეთ, საათი, სამაჯური ან სხვა მსგავსი საგანი შეიხსენით.

სიზუსტისთვის საჭიროა 2-3-წუთიანი ინტერვალით არანაკლებ ორჯერ გაზომვა და მათი საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობის გამოყვანა. თუ განსხვავება 5 ნიშნულზე მეტია, საჭიროა მესამე გაზომვის ჩატარება. აუცილებლად შეამოწმეთ, რამდენად მორგებული გაქვთ მხარზე მანჟეტი. მასა და მხარს შორის მცირე მანძილი დატოვეთ, ისეთი, თითი რომ ეტეოდეს. მისი ქვედა ბოლო კი იდაყვზე 2 სანტიმეტრით ზევით უნდა იმყოფებოდეს.

დალი ხუნდაძე

სანთელი

თამარ, დავით, გიორგი ოთხმეზურები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარიამ (მარიკა) ლორთქიფანიძე

პანაშვიდი: 9,10 I, 17 სთ, ჭავჭავაძის გამზირი №52, I სად. II სართ.

გამოსვენება: 11 I, სიონის საკათედრო ტაძრიდან 15 სთ.

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ექიმი, ორთოპედ-ტრავმატოლოგი

კახა სამუშია.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ სამი ათწლეული იგი ემსახურებოდა ბავშვთა ტრავმატოლოგიას. სხვადასხვა დროს იყო ჟვანიას სახ. ბავშვთა კლინიკის წამყვანი ექიმი, განყოფილების გამგე. მეგობრები და თანამშრომლები უსამძიმრებენ დედას თამარ სიჭინავას, მეუღლეს ქეთი ჯიქიძეს, შვილებს საბასა და თამარს, დას ნინო სამუშიას და ნათესავებს მისი უდროო გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები ჯემალ უგულავა, გენო მტლაშაძე, ენგურ ფოჩხუა, სპარტაკ ხუნწელია მწუხარებას გამოხატავენ

ლამარა სულაძე-აღაიანის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს

სამცხე-ჯავახეთში ხე-ტყის უკანონოდ გაჩეხვა-გადამუშავების 37 ფაქტი გამოვლინდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2017 წლის დეკემბრის თვეში ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის და უკანონოდ გადამუშავების ფაქტებზე 37 პირი ამხილეს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული ჯარიმას ან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უწყების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ბორჯომის, ადიგენისა და ახალციხის რაიონებში მხილებულების ავტომანქანებიდან უკანონოდ მოპოვებული ხის მრგვალი მორები და სამასალე ფიცრები ამოიღეს, გამოვლენილი 31 ავტომანქანა და 6 სახერხი საამქრო კი დალუქეს.

გამოძიება ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტებზე მიმდინარეობს.

◎ გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა

„სიკეთე ჰქმენ, ქვაზე დადე, გამოივლი წინ დაგხვდება!...“

რამდენად შეესაბამება ეს ხალხური გამოთქმა იმ ამბავს, რომელიც შორეულ ამერიკაში ერთ უსახლკარო კაცს შეემთხვევა, ამის მტკიცებას არ მოვყვებით, მკითხველმა თავად განსაჯოს ყოველივე.

„დამეხმარეთ, ლუკმა-პურის ფული არა მაქვს!“ – გულზე ასეთი წარწერიანი დაფით დამშვენებული მიუსაფარი ჯონ ბობიტი ნიუ-ჯერსის შტატის ერთ-ერთი გზატკეცილის პირას იჯდა. მის გვერდით ახალგაზრდა ქალიშვილის ქეით მაკლიურის ავტომანქანა გაჩერდა, რომელსაც ბენზინიც გაუთავდა და არც მისი შესაძენი ფული ჰქონდა. ჯონ ბობიტი გაჭირვებაში ჩავარდნილი ჭეშმარიტი რაინდული სულის კაცი აღმოჩნდა და ბოლო 20 დოლარი ქალიშვილს მისცა.

ამ ამბავმა ქეითს გული იმდენად აუჩუყა, რომ მან თავისი ახლადგაცნობილი უსახლკარო მეგობრისთვის ინტერნეტით სახსრების შეგროვება გადაწყვიტა. იგი 10 ათასი დოლარის თავმოყრას ფიქრობდა, რათა ჯონ ბობიტს ბინაც ექირავა, ტანსაცმელიც შეეძინა და არც მშიერი ყოფილიყო. მაგრამ, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. უსახლკარო რაინდის ამბავი ადგილობრივ გაზეთშიც მოხვდა და ინტერნეტითაც უმალ გავრცელდა, რის შედეგად მას ათი ათასზე მეტი კაცი გამოეხმაურა. საბოლოო ანგარიშით 4 ნოემბერს, მადლიერების დღისთვის „ჯონ ბობიტის ფონდში“ 320 ათასი დოლარზე მეტი მოგროვდა...

ნინო ალექსანდრია

რუსთავში, სასცოვრებელი კორპუსის სადარბაზოში ახალშობილი იპოვეს

ჩვილის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, ის სამართალდამცავებმა სამედიცინო გამოკვლევის ჩატარების მიზნით კლინიკა „რუსთავის“ ჩვილ ბავშვთა განყოფილებაში გადაიყვანეს.

შსს-ს ცნობით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 127-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენებას გულისხმობს, ვისაც შეესაძლებლობა არ აქვს, მიიღოს ზომები თავის დასაცავად.

დანაშაული ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

უმწეოთა დასახმარებლად

ალილო თბილისში

გივი ჯოლბორდისა და ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტორეპორტაჟი

გასაცინებელი ა(მ)ბები

სიყვარული გრენლანდიაში

ცნობილი მოგზაური გრენლანდიიდან დაბრუნდა.

— იცით, როგორ ჟღერს ესკიმოსურ ენაზე „მიყვარხარ“? — ჰკითხა მან მეგობრებს. — „უნივფგშრედტუინალფილნაიბუიარიზიფუგიათ“.

— გასაგებია, — შენიშნა ერთ-ერთმა მსმენელმა. — ღამე იქ ხომ მთელი ექვსი თვე გრძელდება.

უხმო შეტყობინება

ცოლ-ქმარი კოვალსკები გაბუტულები არიან და უკვე ერთი კვირაა უბრად ცხოვრობენ.

ერთხელ პან კოვალსკი სამსახურებრივ მივლინებაში წასასვლელად ემზადებოდა. მატარებელი დილით ადრე მიდიოდა. პან კოვალსკიმ ბარათი დაუწერა ცოლს: „გთხოვ, დილის 6 საათზე გამაღვიძო“, — და ბარათი სამზარეულოში მაგიდაზე დატოვა.

ცოლი ადრე ადგა, ბარათი წაიკითხა, კედლის საათს შეხედა და ქმრის ბარათს ქვეშ მიაწერა: „ადექი! უკვე 6 საათია“.

ეჭვიანობა

აღელვებული პაციენტი ექიმ-ფსიქიატრის კაბინეტში შედის:

— ექიმო, ძალიან შეშფოთებული ვარ, ჩემი ცოლი ძილში ლაპარაკობს.

— რაო, რა მინდაო?

— სულ ერთსა და იმავეს იმეორებს — „არა, მეფეო, არა!“

— ეგ სულაც არ არის საშიში...

— რა ვიცი, ისე, მე სეფე მქვია.

— აკი გითხარი, სანამ შენი ცოლი „არა“-ს იძახის და ეუარება, მანამდე საშიში სულაც არ არის!

მხოლოდ მაშინ

ახალგაზრდა კაცი თავისი საცოლის უმცროს ძმას ეკითხება:

— გულწრფელად მითხარი, ხშირად იყურები გასაღების ჭუჭრუტანაში, როცა ოთახში მარტო მე და შენი და ვართ?

— იშვიათად, — უპასუხებს ბიჭი, — მხოლოდ მაშინ, როცა დედასა და მამას არ შეუძლიათ შემოჭყეტა.

ექიმთან მიღებაზე

დედა ძალიან ლამაზ ქალიშვილთან ერთად ექიმის კაბინეტში შედის.

— გაიხადეთ, — ეუბნება ექიმი ქალიშვილს.

— ავადმყოფი მე ვარ, — უხსნის დედა.

— გასაგებია! აბა, ერთი, ენა გამოყავით!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ ან ოჯველდღე შეიძინეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5967; ევრო - 3.1285;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5157;
100 რუბლი - 4.5524; თურქული ლირა - 0.6940;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5283;
1000 სომხური დრამი - 5.3666.

ამინდი 9 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+8
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+7
თბილისი:	ღამე	-1,	დღე	+11

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge